აჭარა

www.gazetiajara.ge

გამოცემის 102-ე წელი

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№43 (24.923) სამშაბათი, 3 - 4 მაისი, 2022 წ. 50 თეთრი

გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 18-23, შიდამთიან რაიონებში - 20-25, მაღალ მთაში - 8-13 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 14 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 757 მილიმეტრი.

ხვალ მოსალოდნელია უნალექო ამინდი, მომდევნო 2 დღეს - წვიმა.

კრიალოსა N იუსი

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა, მთავრობის ადმინისტრაციაში, ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელს კარლ ჰარცელს ევროკომისიის კითხვარის პირველი ნაწილი გადასცა, რომელიც ქვეყანამ უკვე შეავსო. „მაქვს პატივი, გადმოგცეთ ევროკომისიის კითხვარზე ჩვენი პასუხები, ევროკავშირში გაწევრიანებასთან დაკავშირებით საქართველოს მიერ წარდგენილ განაცხადზე დასკვნის მოსამზადებლად“, - განაცხადა პრემიერმა. მისივე თქმით, ხელისუფლება, ყველა შესაბამისი სახელმწიფო უწყება განაგრძობს ინტენსიურ მუშაობას კითხვარის მეორე, სექტორული ნაწილის შევსებაზე,

* * *

პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილი ჩეხეთის რესპუბლიკის პარლამენტის სენატის პრეზიდენტ მილოშ ვისტრჩილს შეხვდა. საუბარი ორ ქვეყანას შორის არსებულ მრავალწლიან მეგობრულ და ნაყოფიერ თანამშრომლობაზე წარიმართა. „იმის გათვალისწინებით, რომ 2022 წლის მეორე ნახევრიდან ჩეხეთის რესპუბლიკა გადაიბარებს ევროკავშირის საბჭოს თავმჯდომარეობას, ვიმედოვნებთ, არსებული მხარდაჭერა გაგრძელდება და საქართველო მალე შეძლებს კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მიღებას“, - განაცხადა შალვა პაპუაშვილმა.

* * *

ეკონომიკა იზრდება, 14.4%-იანი ზრდა გვაქვს პირველ კვარტალში, - განაცხადა გუშინ მთავრობის სხდომაზე პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა. მისივე თქმით, იზრდება როგორც ადგილობრივი ექსპორტი, ასევე ტურიზმი და ფულადი გზავნილები. პრემიერმა ისაუბრა საწვავის ფასზეც. „შეხვედრა გვქონდა კონკურენციის სააგენტოსთან და ვიმსჯელეთ საწვავის ფასებთან დაკავშირებით. ძალიან ბევრმა იმპორტიორმა დაიწყო შედარებით იაფი საწვავის შემოტანა საქართველოში“, - აღნიშნა პრემიერმა. მთავრობის სხდომაზე ითქვა, რომ პირბადის ტარება ქვეყანაში სავალდებულო აღარ არის.

* * *

საგარეო საქმეთა სამინისტროში უკრაინის საქმეთა დროებით რწმუნებულ ანდრეი კასიანოვთან შეხვედრა გაიმართა. დიპლომატს ეთხოვა უკრაინის თავდაცვის სამინისტროს დაზვერვის სამსახურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაზე შესაბამისი ფაქტობრივი განმარტებები და მტკიცებულებების დროულად წარმოდგენა. როგორც კასიანოვმა განაცხადა, მას ამ ეტაპზე არ გააჩნია შესაბამისი პასუხი გავრცელებული განცხადების ირგვლივ და მისი არსებობის შემთხვევაში, შეტყობინებას დედაქალაქს გადასცემდა.

მოამზადა
ია შველიძემ

2500-მდე კითხვა და ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მოლოდინი...

ნანა აბულაძე 577 20 35 90

„საქართველოს რეფორმების ასოციაციის“ ორგანიზებით, ბათუმში, მედიის წარმომადგენლებისთვის გაიმართა შეხვედრა თემაზე „საქართველო და ევროკავშირი - წარმატებული თანამშრომლობის ათწლეული“, სადაც სფეროს ექსპერტებმა ვრცლად ისაუბრეს საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების, უკრაინაში მიმდინარე ომისა და ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნის სტატუსზე, ასევე, ამ მხრივ არსებულ გამოწვევებზე

- შეიცვალა გეოპოლიტიკური ვითარება, საქართველოსა და ევროკავშირის ურთიერთობების დინამიკა, რომლის განვითარებაც უაღრესად მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისთვის. ის, რაც სამი თვის წინ იყო რელევანტური, დღეს აღარ არის, სხვა მოცემულობა გვაქვს, ამიტომ აღნიშნულზე საუბარი, საზოგადოების ინფორმირება აუცილებელია. მოგეხსენებათ, ჩვენი ქვეყნისთვის მთავარი ამოცანა ევროკავშირში გაწევრიანება, ამ ეტაპზე კი კანდიდატის სტატუსის მიღებაა, რომლის გარეშეც გაწევრიანება არ ხდება. ამიტომ ჩვენი ხელისუფლებისა და მთელი საზოგადოების მობილიზება უნდა იყოს მიმართული სტატუსის მიღებისკენ, მაგრამ აქვე არ უნდა დაგვავიწყდეს მთავარი რამ, რომ კანდიდატის სტატუსის მიღება გულისხმობს ძალიან მნიშვნელოვანი რეფორმების გატარებას, მნიშვნელოვანი პირობების შესრულებას, რომელიც ეხება კანონის უზენაესობას, სასამართლოს, თავისუფალ მედიას და ა.შ. მთელი ჩამონთვალია, რაც გასაკეთებელია. არ უნდა შევიქმნათ ილუზია, რომ ამ ყველაფრის გვერდის ავლით გავძვრები. კანდიდატის სტატუსის მინიჭება, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია, მაგრამ ჩვენი თვითმიზანი არის ევროკავშირში გაწევრიანება, შესაბამისად, რაც მალე გაატარებს ქვეყანა რეფორმებს და აღმოფხვრის არსებულ ხარვეზებს, მით მალე დარწმუნდებიან ჩვენი პარტნიორები, რომ საქართველო იმსახურებს ევროკავშირში გაწევრიანებას, - განაცხადა „GRASS-საქართველოს რეფორმების ასოციაციის“ დამფუძნებელმა სერგი კაპანაძემ. როგორც მან აღნიშნა, დღეს საქართველო ჩაბმულია უკრაინის ლოკომოტივს, შესაბამისად, მნიშვნელოვანია, დავრჩეთ აღნიშნულ პოზიციაში, ასევე, ჩვენ თვითონ ვაჩვენოთ ევროკავშირის წევრ ქვეყნებს, რომ მართლა მზად ვართ, მათთან ერთად, ერთ ოჯახში გავაგრძელოთ არსებობა. შეკითხვაზე, რამდენად რეალურია დღეს უკრაინის, მოლდოვისა და საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანება, სერგი კაპანაძემ თქვა, რომ ამ ეტაპამდე სამივე ქვეყანას ჯერ კიდევ დიდი და მნიშვნელოვანი გზა აქვს გასავლელი.

- მიუხედავად იმისა, რომ შანსები ძალიან გაზრდილია, ევროკავშირში გაწევრიანება უახლოეს პერიოდში არ მოხდება არც უკრაინის, მოლდოვის და არც ჩვენს შემთხვევაში, მაგრამ კანდიდატის სტატუსის მიღება და გაწევრიანებაზე მოლაპარაკების დაწყება შესაძლებელია. შემდეგ ყველაფერი მთლიანად ქვეყნის პროგრესზეა დამოკიდებული, ამიტომ ძნელია კონკრეტული დრო თქვა. სხვა ქვეყნების გამოცდილება გვაჩვენებს, რომ შეიძლება ბევრი წელი გაგრძელდეს აღნიშნული პროცესი. როგორც უკვე აღვნიშნე, არაერთი მიმართულებით გვაქვს პრობლემა, ამ ყველაფრის აღმოფხვრა კი არის რეალური ნაბიჯი, რომლის გარეშე უბრალოდ, არაფერი მოხდება და თავის მოტყუება იქნება, რომ წინ მივიწევთ. ჩვენ ახლა რაღაცნაირად მივდევთ „მატარებელს“ უკან, თუმცა ჩამორჩენილები ვართ, თან დარწმუნებული არ არიან ჩვენი პარტნიორები იმაში, რომ ჩვენ მართლა გვესმის, რამდენად მნიშვნელოვანია ევროკავშირში გაწევრიანება ჩვენი ქვეყნისთვის. ქვეყნის შიგნით, მთავრობასა და ოპოზიციურ ძალებს შორის, აღნიშნულ საკითხზე დიალოგის არქონა ან ნაკლები დიალოგი, რომელიც საერთო საქმეს სჭირდება, ნამდვილად და უდავოდ არის პრობლემა. მიუხედავად ამისა, როგორც მთავრობას, ისე ოპოზიციას გაცხადებული აქვს, რომ ევროინტეგრაცია ჩვენი საერთო მიზანია და ამის მიმართ არსებობს უნივერსალური მხარდაჭერა. თუმცა კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, არსებობს პრობლემები, გასატარებელია არაერთი რეფორმა, რათა ჩვენს ევროპელ პარტნიორებს დავუტოვოთ განცდა, რომ საქართველოში შესაძლებელია ამ ყველაფრის რეალურად გადაჭრა და მოგვარება, - გვითხრა სერგი კაპანაძემ.

ევროკავშირის წევრობის კანდიდატის ქვეყნის სტატუსის მიღებასთან დაკავშირებულ პროცედურულ საკითხებზე გაზეთ „აჭარასთან“ ევროპის უნივერსიტეტის ასოცირებულმა პროფესორმა, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის კაბინეტის უფროსმა ლევან მახაშვილმა ისაუბრა. მისი განმარტებით, ევროკომისიამ საქართველოს ერთი კითხვარის ორი ნაწილი გადმოსცა, პირველ კითხვარში 369 კითხვაა, მეორეში კი 2000-ზე მეტი.

- პირველი კითხვარი არის პოლიტიკური და სავაჭრო-ეკონომიკური ნაწილი, ხოლო მეორე - სექტორული მიმართულებები: განათლება, კულტურა, მეცნიერება, სტატისტიკა, პრაქტიკულად ყველაფერი, ჯამში, სულ 2500-მდე კითხვაა. კითხვების პირველ ნაწილს 10 დღეში მოჰყვა მეორე ნაწილიც. საგარეო საქმეთა სამინისტროს კოორდინაციით გადაეცა ყველა უწყებას თავისი კითხვების ნაწილი, მათ დამუშავებული კითხვები საგარეო საქმეთა სამინისტროს დაუბრუნეს, რომელმაც შეკრა მთლიანი დოკუმენტი. კითხვარის პირველ ნაწილზე მუშაობა დასრულდა, მეორე ნაწილს რაც შეეხება, რამდენიმე დღე არის ვადა და 9 მაისს, რადგან ევროპის დღეებია, სიმბოლურად მოხდება ამის გადაცემაც, რითაც დასრულდება აღნიშნული პროცესი. შემდეგ უკვე არის ევროკომისიის განხილვის ეტაპი. ევროკომისიამ ის უნდა შეისწავლოს როგორც აღნიშნული კითხვარის, ისე სხვა წყაროების საფუძველზე, შეადგინოს მოსაზრება, თუ სად დგას საქართველო დღეს და რამდენად არის მზად თითოეული მიმართულებით, ძირითადად, საუბარია ადმინისტრაციულ უნარებზე, იმაზე, რომ ქვეყანას შეუძლია რაღაც მიმართულებით რეფორმების გატარება და პროცესის მართვა. ევროკავშირის პასუხი იქნება მაისის ბოლოს, ივნისის დასაწყისში, იმიტომ, რომ 23-24 ივნისს არის ევროპული საბჭოს სამიტი, სადაც შეიკრიბებიან ევროსაბჭოს ქვეყნების ლიდერები და იქ მიიღებენ გადაწყვეტილებას, თუ რა პასუხით დაუბრუნდნენ საქართველოს განაცხადს კანდიდატის საკითხთან დაკავშირებით. მოლოდინი მაქვს, რომ საქართველო კანდიდატის სტატუსს მიიღებს, ოღონდ პირობების დართვით, თუმცა თვენახევარია ჯერ იქამდე დარჩენილი. ორი თვის წინ არავინ ელოდა ამ პროცესებს. ასე რომ, ორ თვეში შეიძლება, კიდევ ბევრი რამ შეიცვალოს. ნებისმიერ შემთხვევაში, რა პასუხიც არ უნდა მოგვივიდეს, ქვეყანამ უნდა გააგრძელოს დასახული მიზნისკენ სვლა. უარიც რომ იყოს და ყველაზე ცუდ ვარიანტზეც რომ ვისაუბროთ, ფარ-ხმალი არ უნდა დავყაროთ, პირიქით, ორმაგად მეტი უნდა გააკეთოს ქვეყანამ, რომ შემდეგ 6 თვეში, როცა ევროკომისია ისევ შეიკრიბება, დადებითად გადაწყდეს კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მინიჭების საკითხი საქართველოსთვის, - განაცხადა ლევან მახაშვილმა. როგორც მან განმარტა, ეს კითხვარი არ არის ევროკავშირის წევრობის კითხვარი და მათზე პასუხების გაცემა არ ნიშნავს, რომ საქართველო მზად არის წევრობისთვის, რადგან წევრობა ხანგრძლივი პროცესია, ცალკე მოლაპარაკებების საკითხია და მასზე ცალკე ანგარიში უნდა მომზადდეს.

- ყველაფერი მაინც პოლიტიკურ ნებაზეა დამოკიდებული და იმის გაცხადებაზე, რომ ამ ქვეყანას აქვს ევროპული მომავალი და იმსახურებს ევროპულ ოჯახში ყოფნის შანსს. რა თქმა უნდა, პროცესის დასაწყისში არავინ იყო ბოლომდე მზად და არც საქართველო არის ამ ეტაპზე, მაგრამ პროცესის დაწყება ნიშნავს, რომ მზაობა ნელ-ნელა, ეტაპობრივად მოძლიერდეს, მომწიფდეს და წლების შემდეგ საკითხი გადაწყდეს დადებითად. როგორც ზემოთაც ვახსენე, ყველაფერი პოლიტიკურ ნებაზეა დამოკიდებული, მაგალითად, შეიძლება ევროკომისიამ ნეგატიური დასკვნა დადოს საქართველოსთან მიმართებაში და ევროპულმა საბჭომ მაინც დადებითი გადაწყვეტილება მიიღოს, ან პირიქით, კომისიამ პოზიტიური დასკვნა დადოს და ევროპულმა საბჭომ თქვას, რომ გასაგებია, ვითვალისწინებ ამ შესაძლებლობას, მაგრამ მოდით, 6 თვეში მივუბრუნდებით საკითხს. ბევრი სცენარი და ვარაუდი არსებობს, შესაძლებლობის ფანჯარა დღეს არის ღია, თუმცა გამორიცხული არც ისაა, 2 თვეში საერთოდ დაიხუროს. ეს ის შემთხვევა ნამდვილად არ არის, როცა რაიმე ზუსტი პასუხი წინასწარ შეიძლება იცოდე, - განაცხადა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის კაბინეტის უფროსმა ლევან მახაშვილმა.

...რუსეთს ძალიან გაუჭირდება ამ ერის დაჩოქება

4

საქართველოში ბრძოლაა დემოკრატიასა და ავტოკრატიას შორის

5

მუსლიმებმა რამაზან-ბაირამის დღესასწაული აღნიშნეს

გუშინ, ერთთვიანი მარხვის შემდეგ, მუსლიმურმა სამყარომ ისლამის ერთ-ერთი უდიდესი დღესასწაული - რამაზანი აღნიშნა. ამასთან დაკავშირებით, ბათუმის ცენტრალურ მეჩეთში სადღესასწაულო ლოცვა საქართველოს მუფთმა ადამ შანთაძემ აღავლინა.

რამაზან-ბაირამის ლოცვას დაესწრნენ და მუსლიმ მორწმუნეებს დღესასწაული მიულოცეს აჭარის უმაღლესი საბჭოსა და მთავრობის თავმჯდომარეებმა დავით გაბაიძემ და თორნიკე რიყვაძემ, უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ტიტე არუშიძემ, ქალაქ ბათუმის მერმა არჩილ ჩიქოვანმა, ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებმა. მათ მრევლს მშვიდობა, კეთილდღეობა, წარმატებები უსურვეს და იმედი გამოთქვეს, რომ საუკუნოვანი ტრადიციები კვლავაც გაგრძელდება.

- ჩვენი ქვეყანა ყოველთვის გამოირჩეოდა ტოლერანტობით, კაცთმოყვარეობით. საუკუნეების განმავლობაში აქ ძმურად ცხოვრობდნენ სხვადასხვა აღმსარებლობის ადამიანები, ერთად იზიარებდნენ ყველა ტკივილსა თუ სიხარულს, რაც უკვე ტრადიციად იქცა. მინდა თითოეულ მუსლიმანს და განსაკუთრებით, საქართველოში მცხოვრებთ, მივულოცო დღევანდელი დღე, ვუსურვო მათ მშვიდობა და კეთილდღეობა, - ამ სიტყვებით მიულოცა რამაზან-ბაირამის დღესასწაული აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძემ ბათუმის ორთაჯამეში შეკრებილ მორწმუნეებს.

- მუსლიმ მრევლს გულითადად ვულოცავ რამაზან-ბაირამის დღესასწაულს, დღეს, რომელიც კაცთმოყვარეობას, პატივისცემას და სიკეთის გამარჯვებას უკავშირდება. ჩვენი ვალია, მომავალ თაობებს შემოვუნახოთ დიდი ტრადიცია, ერთმანეთის რწმენისა და კულტურის პატივისცემა. მინდა გისურვოთ მშვიდობა, კეთილდღეობა და წარმატება, - აღნიშნა თორნიკე რიყვაძემ.

- გულითადად გილოცავთ რამაზან-ბაირამის დღესასწაულს, მარხვის წმინდა თვის დასასრულს. ეს არის სიყვარულისა და სიკეთის დღე, რომელსაც ყველა თქვენგანი განსაკუთრებით აღნიშნავს. ამ დღეს, თქვენთან ერთად, მთელი საქართველო ზეიმობს. გისურვებთ მშვიდობას, სულიერ სიმშვიდეს და კეთილდღეობას. ჩვენს სამშობლოსა და თქვენს ოჯახებს ვუსურვებ ბედნიერ მომავალსა და წარმატებებს.- თქვა არჩილ ჩიქოვანმა.

ანკა ჩხიკვაძე

ხელვაჩაურის საკრებულომ გენდერული თანასწორობის საბჭოს 2022-2024 წლების სამოქმედო გეგმა დაამტკიცა

ნათია იმნაიშვილი 27 48 93

ხელვაჩაურის საკრებულოს ბოლო სხდომაზე, რომელიც 28 აპრილს გაიმართა, წევრებმა ხუთ საკითხს უყარეს კენჭი, მათგან ერთ-ერთი ხელვაჩაურის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს 2022-2024 წლების სამოქმედო გეგმა იყო

საკითხი სხდომაზე საკრებულოს წევრმა, განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ, გენდერული საბჭოს თავმჯდომარე **ბურანდა დოლიძემ** წარადგინა. დღეს ის ჩვენი სტუმარია და მკითხველს საბჭოს საქმიანობასა და მიზნებზე ესაუბრება.

- ხელვაჩაურის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭო 2018 წლის 18 იანვარს შეიქმნა. მანამდე, 2014 წელს, საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) მხარდაჭერით, რეგიონში პირველი გენდერული თანასწორობის საბჭო აჭარის უმაღლეს საბჭოში ამოქმედდა. მუნიციპალური საბჭოს შემადგენლობა წელს უფრო მრავალფეროვანი გახდა: მასში საკრებულოს სხვადასხვა ფრაქციის, მერიის შესაბამისი სამსახურების, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, მერიაში გენდერული თანასწორობის საკითხზე პასუხისმგებელი პირი, ასევე, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერი და საკრებულოს თავმჯდომარე შედიან. საკრებულოს ბოლო სხდომაზე, რომელიც 28 აპრილს გაიმართა, ხელვაჩაურის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს 2022-2024 წლების სამოქმედო გეგმა დავამტკიცეთ. აქვე აღვნიშნავ, რომ COVID-19-ით გამოწვეულმა პანდემიამ 2020-2021 წლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელების პროცესი მნიშვნელოვნად შეაფერხა, თუმცა, ვიმედოვნებ, რომ საბჭო მუშაობას ჩვეულ რიტმში განაგრძობს. სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრები მონაწილეობდნენ. ჩვენ მოვისმინეთ და გავითვალისწინეთ ექსპერტთა რეკომენდაციებიც. ქვეყანაში გენდერული თანასწორობის მიღწევის პროცესში, ცენტრალურ ხელისუფლებასთან ერთად, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვან როლს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ასრულებენ, გენდერული თანასწორობის პოლიტიკას კი საქართველოს პარლამენტის მიერ შექმნილი გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო განსაზღვრავს. ჩვენ კოორდინირებულად ვმუშაობთ როგორც მუდმივმოქმედ, ასევე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭოსთან. დოკუმენტზე მუშაობისას მოსახლეობას მუნიციპალიტეტის თერთმეტივე ადმინისტრაციულ ერთეულში შევხვდით, დაინტერესებულ, ასევე, პროცესში ჩართულ მხარეებთან ჩავატარეთ სიღრმისეული ინტერვიუები, შევისწავლეთ მათი საჭიროებები, გავითვალისწინეთ გენდერულად სენსიტიური საკითხები და 2022 წლის მუნიციპალიტეტის მთავარ ფინანსურ დოკუმენტში სხვადასხვა პროგრამის სახით ავსახეთ. მაგალითად: ჯანდაცვის მიმართულებით - სკრინინგის პროგრამა, სპორტის მიმართულებით - გოგონათა ჩართულობა სპორტის სხვადასხვა სახეობაში, როგორებიცაა ძიუდო, ფრენბურთი, ჭადრაკი და სხვა.

- რა არის საბჭოს მთავარი მიზანი?

- მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს მიზანია, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში შეიმუშაოს გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად განსახორციელებელი სამოქმედო გეგმა და ამ გეგმის შესრულების კოორდინაცია და მონიტორინგი უზრუნველყოს, ასევე, დაგეგმოს და განახორციელოს სხვადასხვა სახის ღონისძიება გენდერული თანასწორობის მისაღწევად, ქალთა და მამაკაცთა თანასწორი უფლებების რეალიზაციისათვის.

- პრიორიტეტებზე რას გვეტყვით?

- 2022 წლისთვის საბჭოს პრიორიტეტები შემდეგნაირად განისაზღვრა: ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის საკითხებზე უწყებათაშორისი კოორდინაციის გაძლიერება და ინსტიტუციური მექანიზმების გაუმჯობესება; მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის გაძლიერების ხელშეწყობა მონაცემებზე დაყრდნობილი პოლიტიკის წარმოების, თანამშრომლობისა და ცნობიერების ამაღლების გზით; ქალთა ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობა; ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის ხელშეწყობა; მუნიციპალიტეტში ქალთა პოლიტიკური გაძლიერების ხელშეწყობა.

- რა ღონისძიებები და პროექტები აქვს საბჭოს დაგეგმილი?

იხ. მე-6 გვ.

ამჯერად, ანტისაოკუპაციო აქციები

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრებმა და მხარდამჭერებმა აჭარის მთავრობის სახლთან აქცია გამართეს. ენმ-დან ბათუმის საკრებულოს წევრის რეზო ხარაზის განცხადებით, ისინი ანტისაოკუპაციო აქციებს იწყებენ. როგორც მან თქვა, საქართველო ოკუპირებულია, რადგან ხელისუფლებაში დღეს რუსული მთავრობაა.

„ძალიან მძიმე მდგომარეობაა ქვეყანაში, საზოგადოების დიდი ნაწილი ვერ აღიქვამს, რა რეალობის წინაშე ვართ. მესამე პრეზიდენტს ციხეში კლავენ. ეს აქციები არ იქნება მხოლოდ მიხეილ სააკაშვილის ტყვეობისგან დასახსნელად. ქვეყანა კატასტროფამდე რომ არ მივიდეს, ამის გამო ვიკრიბებით. ჩვენ ვართ რუსული ოკუპაციის ქვეშ. ანტისაოკუპაციო აქციებს ვიწყებთ და ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ეს ქვეყანა საბჭოთა კავშირში არ დავაბრუნოთ.

ე.წ ბორინკას მმართველობა უნდა დასრულდეს და ამ ყველაფრისთვის ქუჩა არის საჭირო, ხმის ამოღება და გარეთ გამოსვლა. ეს იქნება აქცია არამხოლოდ იმისთვის, რომ სააკაშვილს არ მოვაკვლევინებთ, არამედ დღეს პირდაპირი საფრთხეა ოკუპაციის და ამისთვის უნდა გავერთიანდეთ. სააკაშვილს სჯიან იმის გამო, რომ მან არ ჩააბარა ჩვენი ქვეყანა რუსეთს,“ - აღნიშნა რეზო ხარაზმა. მისივე თქმით, საპროტესტო აქციები 6 მაისს ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტთან დაიწყება. მანამდე „ნაციონალური მოძრაობა“ კონსულტაციებს გადის სხვა ოპოზიციურ პარტიებთან.

ანკა ჩხიკვაძე

ამბები

შაბათ-კვირის ქრონიკა

აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ორგანიზებით რეგიონში მოღვაწე ლოტბარებისთვის და ქორეოგრაფებისთვის ტრენინგები ჩატარდა. ტრენინგის მიმდინარეობას აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი მაია ხაჯიშვი-

ლი გაეცნო. ტრენინგის მიზანი იყო ქართული ხალხური ცეკვის და სიმღერების საშემსრულებლო ხელოვნების დახვეწა-გამდიდრება, თეორიული და პრაქტიკული ცოდნა-გამოცდილების ამაღლება და ავთენტური ტრადიციების დაცვა. ტრენინგებში მონაწილეებს სერტიფიკატები გადაეცათ.

* * *

უკრაინაში მიმდინარე ომის პარალელურად, სხვადასხვა ქვეყნაში, მათ შორის საქართველოში უკრაინის მხარდასაჭერი აქციები იმართება. აქცია გაიმართა ბათუმშიც. მოქალაქეებმა ომის დასრულება მოითხოვეს და სოლიდარობა გამოხატეს უკრაინისა და უკრაინელი ხალხის მიმართ.

* * *

„დიდხანს სიცოცხლე ყველას“ - ამ სლოგანით, ევროპის იმუნიზაციის კვირეულის ფარგლებში, კონფერენცია გაიმართა. მიზანი, ამ კუთხით საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებაა. იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამას საფუძველი 1996 წელს ჩაეყარა. სახელმწიფო პროგრამით 0-18 წლის ასაკის მოსახლეობის ვაქცინაცია 9 სახის ვაქცინით მიმდინარეობს, რომელიც 13 ინფექციისგან გვიცავს.

* * *

შერიფ ხიმშიაშვილის ქუჩის 17 ნომერში მცხოვრებლები, „ორბი სითი თაუერის“ მიმდებარედ არსებული მშენებარე ნაგებობის დემონტაჟს ითხოვენ. ადგილობრივებმა ამ დღეებში საპროტესტო აქცია გამართეს. მათი თქმით, ორბმა, 2 კონსტრუქცია უკანონოდ, პროექტის გარეშე აშენა. ადგილობრივებს თავდაპირველად მხოლოდ 2 სართულის აშენებაზე ჰქონდათ ინფორმაცია. აქციის მონაწილეები, დემონტაჟის გარდა, ქუჩის გაფართოებასაც ითხოვენ. პრობლემის მოსაგვარებლად მათ მუნიციპალურ ინსპექციას მიმართეს. უწყების პრესსამსახურის განმარტებით, საკითხთან დაკავშირებით ინფორმაციას ფლობენ და სამშენებლო სამუშაოები უკვე შეაჩერეს.

* * *

ბათუმის საკალათბურთო კლუბმა „სუპერლიგის“ მეოთხედფინალური სერია გამარჯვებით დაიწყო. სერიის პირველი შეხვედრა ბათუმში ადგილობრივ კლუბსა და თბილისის „ვერას“ შორის გაიმართა. მატჩი ბათუმელებმა 20-ქულიანი სხვაობით, 102:82 მოიგეს. „ბათუმის“ რიგებში ბექა ბექაურმა ორმაგი მიითვალა. მის ანგარიშზე 12 ქულა, 11 მოხსნა, 3 გადაცემა და 3 დაფარება იყო, კაილი რიდლიმ კი გუნდს 19 ქულა და 3 გადაცემა შემატა. ამრიგად, სერიაში ბათუმი დაწინაურდა.

მოამზადა
ნათია იმნაიშვილმა

„პიარის ნაცვლად საქმეს თუ არ მიხედა უკრაინის მთავრობამ, კატასტროფა მოხდება მთელი ქვეყნისთვის“

ირმა ცეცხლაძე 27 48 93

გთავაზობთ ინტერვიუს პოლიტოლოგ ***სოსო მანჯავიძესთან.*** *მისი თქმით, უკრაინა-რუსეთის კონფლიქტმა პიკს მიაღწია, რის შემდეგაც შესაძლოა, მოვლენები სულ სხვა მიმართულებით წარიმართოს.*

- ბატონო სოსო, რა ვითარებაა დღესდღეობით უკრაინის ფრონტზე, რას გვეტყვით მარიუპოლზე?

- მარიუპოლი რუსულმა არმიამ აიღო. უკრაინული ძალები თავმოყრილია „აზოვსტალის“ ქარხნის ტერიტორიაზე, იქ, ძირითადად, აზოვის პოლკის გადარჩენილი ნაწილია. თავად ქარხანა განთავსებულია 11 კვადრატულ კილომეტრზე. ეს არის უზარმაზარი შენობა-ნაგებობების კომპლექსი მიწისქვეშა სათავსოებით, გვირაბებით და კომუნიკაციებით. მასზე ლეგენდები დადის. საუბრობენ, რომ იქ არის ბიოლაბორატორია, სადაც მიმდინარეობდა ექსპერიმენტები. რუსები „აზოვის დაჯგუფების“ გარდა, ახსენებენ 400-მდე უცხოელ მებრძოლს, რომლებსაც ხელმძღვანელობს ორი უცხოელი გენერალი, ერთი კანადელია, ხოლო მეორე - ამერიკელი. ცხადია, ეს დაზუსტებული ინფორმაცია არ არის. არის ვერსია, რომ „აზოვსტალის“ შტურმი არ დაიწყო არა მხოლოდ იმიტომ, რომ უფრთხილდებიან იქ მყოფი მშვიდობიანი მოქალაქეების და ჯარისკაცების სიცოცხლეს, არამედ განზრახული აქვთ უცხოელი „ბოევიკების“ და მაღალჩინოსნების ტყვედ აყვანა. ისიც ითქვა, რომ რუსები აპირებენ საჩვენებელი სასამართლო პროცესის მოწყობას.

- ნუთუ არავინ დაეხმარება?

- იქ მდგომარეობა ძალიან მძიმეა. ტერიტორია მთლიანად ბლოკირებულია. ვფიქრობ, ამაოდ ითხოვენ ვიდეომიმართვებში შველას აზოვის ბატალიონის და „აზოვსტალის“ უფროსები. ერთ-ერთმა მათგანმა - კალინამ რომის პაპსაც კი მიმართა, რომლის ეპარქიასაც წარმოადგენს დასავლეთ უკრაინის უნიატური ეკლესია.

- ამ დროს სად არის უკრაინის მთავრობა?

- ის მუდმივ რეჟიმშია ჩართული, ამ ხალხს გმირებს უწოდებს და აგულიანებს, დეკლარირებულად უმერს მხარს ამ მდგომარეობაში აღმოჩენილ ჯარს, მაგრამ რეალურად ვერ ეხმარება. საუბარია იმაზეც, რომ უკრაინის ეგრეთ წოდებული ნაცბატალიონები, აზოვი და აზოვის დედაქალაქად წოდებული მარიუპოლი თავიდანვე გაწირეს, რადგან თავად ზელენსკის ეშინია ნაციონალების, რომლებიც, აუცილებლობის შემთხვევაში, იარაღითაც კი აღწევდნენ პოლიტიკურ მიზნებს.

- მაინც რამდენ ხანს გაუძლებს ბლოკადას „აზოვსტალი“, რესურსებიც ხომ ამოეწურათ?

- რამდენ ხანს გაუძლებენ, ძნელი სათქმელია. ვიდეომიმართვებიდან ჩანს, რომ ბევრი ჭყავთ დაჭრილი, უთავდებათ პროვიზია და ტყვია-წამალი, არტილერია და მძიმე ტექნიკაც სამიზნეების ქვეშ მოექცა, ხოლო ყველაფერ ამის გარეშე, რაც უნდა გამოცდილი და მამაცი იყოს მებრძოლი, დიდხანს ალყას ვერ გაუძლებს. ზღვიდანაც და ხმელეთიდანაც დაბლოკილი არიან და მხოლოდ საკუთარი, შეზღუდული ბიოლოგიური შესაძლებლობების იმედად რჩებიან ბლოკადაში, იხანგრძლივებენ სიცოცხლეს, იციან, თუ ტყვედ ჩაბარდნენ, არავინ დაინდობს.

- სხვა მიმართულებებზე რას გვეტყვით?

- მათ აქ დეტალურად ვერ გავარჩევთ, თუმცა ზოგადი სურათი ასეთია: ვითარება კარდინალურად შეიცვალა, იგულიხმება რუსეთის არმიის ტაქტიკა, მოხდა იმ კატასტროფული შეცდომების კუპირება, რომლებზეც წინა ინტერვიუებში ვსაუბრობდით. რუსებმა შეძლეს ძალების გადაფასება და იყენებენ უპირატესობებს (საარტილერიო, სარაკეტო, ავიაციის გააქტიურება, სპეცდანიშნულების რაზმების მუშაობა მოწინააღმდეგის ზურგში, დაზვერვა და სხვა), მოკლედ, რუსული სამხედრო მანქანა ჩადგა მწყობრში და მოვიდა მუშა მდგომარეობაში, რაც მძიმედ აისახა უკრაინულ არმიაზე.

- აცხადებენ, რომ სამხედრო უპირატესობა უკრაინის მხარესაა.

- სამწუხაროდ, უმძიმეს ვითარებაში არიან უკრაინელი მებრძოლებიც და მოსახლეობაც. მიმაჩნია, რომ ომი, ზოგადად, ტრაგედიაა და არც ერთი ხალხის ინტერესებში არ შედის. აქედან გამომდინარე, ვამბობ, რაც რეალობაა და ობიექტურად ხდება. ყველა ამ ჭრილიდან უნდა მიუდგეს, თუ სურს რეალობა აღიქვას, მაგრამ თუ მხოლოდ პროპაგანდისტული ნარატივის ზემოქმედების ქვეშ სურს ყოფნა და საკუთარი ემოციების ფრქვევა, ეს ცალკე საკითხია, რადგან ომი არ არის ფეხბურთი და სტადიონზე აღტკინების თუ გულგატეხილობის ემოციის გამოხატვა. სამხედრო კონფლიქტი არც შოუა - „ბრძოლა წესების გარეშე“ , სადაც გათიშულ მოწინააღმდეგეს მსაჯი აჩერებს. აქ სულ სხვაგვარი ომი წავიდა, მსხვერპლმაც მოიმატა. არ აცხადებენ ამას, მაგრამ არსებობს დამოუკიდებელი საინფორმაციო წყაროები, რომელთა შედარებითი ანალიზითაც შეგვიძლია მსჯელობა. ომს თავისი კანონები აქვს. მისი მიმდინარეობისას დაღუპულთა ზუსტ რაოდენობას არ აცხადებენ დემორალიზაციის თავიდან აცილების მიზნით, მაგრამ არარეალისტური ციფრების გამოცხადება უარეს შედეგებს იწვევს, ვინაიდან აღარავის სჯერა ხელისუფლების სიტყვის. ეს უფრო მეტ მორალურ ზიანს აყენებს ქვეყანას და მოსახლეობას.

- ორივე მხარე იგივეს აკეთებს?

- დიახ, მაგრამ ამ შემთხვევაში, ზიანის მიყენების კუთხით ხაზს გავუსვამ უკრაინას, ვინაიდან აქ ისმის კონტრპროდუქტიული პროპაგანდა. ამას ვამბობ უკრაინაში მყოფი მეგობრების მოსმენის შემდეგ, იქაურ ბლოგერებსაც თვალყურს ვადევნებ. მათი განწყობა მძიმეა იმიტომ, რომ არესტოვიჩის და ზელენსკის ნარატივი სრულიად აცდენილია რეალობას, ხოლო აბსურდული პროპაგანდის ძალადობრივი ზომებით უზრუნველყოფა კიდევ უფრო ამწვავებს სიტუაციას. პიარის პრევალირება რეალობაზე და ვირტუალურ სამყაროში ცხოვრება ახალი არ არის, მაგრამ მედიამ და სოციალურმა ქსელებმა ეს ფენომენი გაბატონებული გახადა. ადამიანების დიდ ნაწილს უკვე აღარც შეუძლია სხვაგვარად ცხოვრება და დარწმუნებულია, რომ თუ „დაალაიქა“ და რაღაც მოიწონა, ამით ის მოხდება, რაც მას უნდა. ამაზე ანეკდოტი მახსენდება: გურული შაშვს ესვრის, ააცილებს და ეტყვის, ჩემს თვალში მკვდარი ხარო. აი, ამ ფენომენს ნერგავს სოციალური ქსელები მილიარდობით ადამიანის ცხოვრებაში.

- აბსოლუტურად სხვაგვარ ინფორმაციებს ავრცელებენ სხვა ანალიტიკოსები...

- ესაა საქმე, არადა, ფაქტია ისიც, რომ მიმდინარეობს უკრაინის უკრაინელებისგან დაცლის პროცესი. ჩემი აზრია, რომ ეს ხდება შეთანხმებით, რაშიც დიდწილად მონაწილეობენ, ერთი შეხედვით, დაპირისპირებული მხარეები. გუტერეშმა თქვა, 12 მილიონი უკრაინელი დატოვებს ქვეყანასო. გარდა ამისა, დიდია შიდა გადაადგილებებიც. ზოგი 5 მილიონს ამბობს, ზოგიც - 7-ს, ვერავინ დათვალა. ამავე დროს, უკრაინამ მიიღო კანონი, რომლის მიხედვით ქვეყნიდან გასული მამაკაცები ვეღარ დაბრუნდებიან, ვინაიდან მათ მიმართ, დეზერტირობის გამო, დაიწყება სისხლის სამართლებრივი დევნა, ანუ მივედით იქამდე, საიდანაც დავიწყეთ - ფაქტობრივად, უკრაინა იცლება უკრაინელებისგან. ამავე დროს, მართლაც კოლოსალური მსხვერპლია, რუსული სამხედრო მანქანა მძლავრად ამუშავდა და ხორცსაკეპი ფუნქცია ჩართო, იყენებს ძლიერ ლეტალურ იარაღს. საქმე გვაქვს დიდ ტრაგედიასთან და ორივე მხარის სიძულვილის მორევი სულ უფრო და უფრო უმართავი ხდება, რაც გამორიცხავს რაიმე ტიპის პოზიტიურ გადაწყვეტილებას. ხალხიც იმ დონეზეა ეგზალტირებული, რომ რთულად წარმოსადგენია ამ პროცესის შეჩერება.

- ყოველივე ამის გათვალისწინებით - თქვენი პროგნოზი.

- დავიწყოთ იმით, რომ რუსები საკმაოდ უცნაურად მოქმედებენ. კერძოდ, კიევიდან რომ გავიდნენ და დაიწყეს ძალების გადაჯგუფება დონბასისკენ, ცხადია, უნდა ეზრუნათ, რომ დონბასის დაჯგუფებისკენ მიმავალი გზები გადაეკეტათ, შეეჩერებინათ ცოცხალი ძალა და ტვირთები. ამას რატომღაც არ აკეთებდნენ, რაზეც რუსულ პაბლიკებში წამოვიდა აგრესია. მთელ რიგ ტელეგრამ-არხებში (არა მხოლოდ) და სამხედრო საექსპერტო წრეებში ირჩეოდა ეს საკითხი და კარნახობდნენ, რა უნდა გაეკეთებინათ კომუნიკაციების დასარღვევად. როდესაც საავიაციო უპირატესობა აქვს ერთ მხარეს, თუნდაც, რკინიგზის წყობიდან გამოყვანას დიდი ძალისხმევა არ სჭირდება. მაგრამ რუსები ამას არათუ არ აკეთებდნენ, უცნაურად ასაბუთებდნენ კიდეც. კერძოდ, ამბობდნენ, არ გვინდა განადგურება, შეტევას რომ დავიწყებთ, მერე ჩვენი აღსადგენი დარჩება ეს ხიდებიც და რკინიგზაც. მოკლედ რომ ვთქვათ, საბოლოოდ ყურად იღეს რჩევები და დაიწყეს რკინიგზის და ხიდების დაბომბვა. მაგალითად, დაბომბეს ხიდი, რომლის მეშვეობითაც ამარაგებდნენ უკრაინის არმიას ოდესის ოლქიდან. იმ შემთხვევაში, თუ რუსები გადაუკეტავენ გზებს, კომუნიკაციას დანარჩენ უკრაინასთან და ე.წ. ქვაბებში, ალყაში მოაქცევენ, დატოვებენ ამუნიციის, ტყვიაწამლის, იარაღის და საკვების გარეშე დონბასის დაჯგუფებას, იგი ისეთივე მდგომარეობაში აღმოჩნდება, როგორც „აზოვსტალში“ ბლოკირებული აზოვის პოლკი, ოღონდ გაცილებით დიდ მასშტაბებში. თუმცა, აქ სხვა ნიუანსებიცაა. რუსეთის არმია შეზღუდული რაოდენობითაა წარმოდგენილი. როგორც უკრაინული მხარე აცხადებს, მხოლოდ 90 ბატალიონია შეყვანილი, თითოეულში - 700-1000 კაცამდე. ეს რაოდენობა არ არის საკმარისი მთელი უკრაინის გასაკონტროლებლად, მაგრამ ვინაიდან უკეთესი შეიარაღება აქვთ და ინიციატივაც მათ ხელშია, თანაც მარიუპოლი აღარ იკავებს დიდ ძალებს, მათ შეუძლიათ გადამწყვეტი უპირატესობა მოიპოვონ დონბასის მიმართულებით და თუკი რაიმე განსაკუთრებული არ მოხდა, ალყაში მოაქციონ უკრაინული არმია, რომელსაც დებლოკაციის საშუალება არ გააჩნია და მოუწევს ამ გამაგრებულ რაიონებში ბრძოლა. იქიდან გამომდინარე, რომ უფრო და უფრო აკლდებათ მობილური ტექნიკა, არტილერია და ავიაცია, აღინიშნება საარტილერიო ჭურვების შიმშილიც, სირთულეს არ წარმოადგენს იმის გათვლა, რა ბედი ელის ამ დაჯგუფებას. პიარის ნაცვლად საქმეს თუ არ მიხედა უკრაინის მთავრობამ, კატასტროფა მოხდება მთელი უკრაინისთვის, რადგან აქ განადგურდება საკადრო არმია, ახლის შექმნა და კვალიფიციური კადრების გამოძებნა კი დღევანდელ ტექნოლოგიურ ომში ძალიან ძნელია - საბრძოლო მოქმედებების საწარმოებლად სერიოზული მომზადება სჭირდება როგორც ჯარისკაცებს, ისე საშუალო და მაღალი ჩინის ოფიცრობას.

- უკვე განიცდის უკრაინა კადრების ნაკლებობას?

- აშკარად შეინიშნება, რომ უფრო და უფრო მოუმზადებელი სამხედრო ნაწილებით უწევს მას ომი. ცნობილი ფაქტია, ყველაზე სწრაფად სწორედ გამოუცდელი კადრები იღუპებიან. აი, ეს ვითარებაა დონბასის მიმართულებით. აქ რუსეთის ამოცანა გასაგებია. უნდა დონბასის დაჯგუფება ალყაში მოაქციოს, პარალელურად კი აიღოს ნიკოლაევი, ოდესა და გავიდეს დნესტრისპირეთისკენ (ხერსონი აღებული აქვს), რომლის წინააღმდეგაც უკრაინელები იმუქრებიან სამხედრო ოპერაციის დაწყებას.

- დნესტრისპირეთის რეგიონში აფეთქებების სერიის შემდეგ, მოლდოვამ უსაფრთხოების ზომები გააძლიერა. ამის შესახებ მოლდოვის პრეზიდენტმა მაია სანდუმ განაცხადა.

- თუკი მოლდოვა დათანხმდა უკრაინასთან კოორდინირებულად ჩაერთოს დნესტრისპირეთის საწინააღმდეგო ოპერაციაში, იქაურობის ბედი გადაწყვეტილი იქნება, რადგან დნესტრისპირეთი ვერ შეძლებს ორ ფრონტზე ომს, მით უმეტეს, მოლდოვას სამხედრო-ტექნიკურ დახმარებას აუცილებლად გაუწევს რუმინეთი. რუსეთისთვის ეს უმძიმესი სამხედრო-პოლიტიკური მარცხი იქნება, რის აცილებასაც ყველა საშუალებით ეცდება. აქვე ვიტყვი, თუკი უკრაინელებმა გადაწყვიტეს, რომ თავად, მოლდოვის გარეშე შეუძლიათ ამ ამოცანის შესრულება, შეიძლება, ვერ მიიღონ სასურველი შედეგი.

იხ. მე-5 გვ.

> **„ზიანის მიყენების კუთხით ხაზს გავუსვამ უკრაინას, ვინაიდან აქ ისმის კონტრპროდუქტიული პროპაგანდა. ამას ვამბობ უკრაინაში მყოფი მეგობრების მოსმენის შემდეგ, იქაურ ბლოგერებსაც თვალყურს ვადევნებ. მათი განწყობა მძიმეა იმიტომ, რომ არესტოვიჩის და ზელენსკის ნარატივი სრულიად აცდენილია რეალობას, ხოლო აბსურდული პროპაგანდის ძალადობრივი ზომებით უზრუნველყოფა კიდევ უფრო ამწვავებს სიტუაციას**

უცხოეთი

აშშ-ის კონგრესის წარმომადგენლობითი პალატის სპიკერი ნენსი პელოსი უკრაინაში ჩავიდა. ეს არის კიევში ამერიკული დელეგაციის პირველი ვიზიტი მას შემდეგ, რაც ქვეყანაში რუსეთმა ფართომასშტაბიანი შეჭრა განახორციელა. ნენსი პელოსი უკრაინის პრეზიდენტ ვოლოდიმირ ზელენსკის შეხვდა და მხარდაჭერა აღუთქვა. ვიზიტამდე ერთი დღით ადრე უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრ დმიტრი კულებასა და აშშ-ის სახელმწიფო მდივან ენტონი ბლინკენს შორის სატელეფონო საუბარი შედგა, რომლის დროსაც უკრაინისთვის 33 მილიარდი დოლარის დახმარებაზე იმსჯელეს.

* * *

რუსეთის ელჩი ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტროში გამოიძახეს. მიზეზი სერგეი ლავროვის განცხადებაა, რომელიც მან იტალიურ გამოცემასთან საუბრისას გააკეთა. ლავროვმა უკრაინის პრეზიდენტი ადოლფ ჰიტლერს შეადარა. „ზელენსკის არგუმენტია: როგორ შეიძლება მათთან იყოს ნაციფიკაცია, როცა ის ებრაელია. შეიძლება ვცდებოდე, მაგრამ ჰიტლერსაც ჰქონდა ებრაული სისხლი. ეს აბსოლუტურად არაფერს ნიშნავს. ბრძენი ებრაელი ხალხი ამბობს, რომ ყველაზე მგზნებარე ანტისემიტები, როგორც წესი, ებრაელები არიან“, - განაცხადა ლავროვმა. ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრმა იაირ ლაპიდმა რუსი მაღალჩინოსნის სიტყვებზე თქვა, რომ ეს არის „უპატიებელი, აღმაშფოთებელი უხეში ისტორიული შეცდომა“.

* * *

თურქეთის პრეზიდენტი რეჯეფ თაიფ ერდოღანი მიმდინარე კვირაში რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინთან შეხვედრას აანონსებს. მისი განცხადებით, თურქეთის ხელისუფლების წარმომადგენლები გასულ შაბათს უკვე იმყოფებოდნენ კიევში, სადაც მოლაპარაკებები გამართეს ქვეყნის პრეზიდენტთან, ახლა კი ჯერი რუსეთზეა. „შევეცდებით, დავაჩქაროთ ევაკუაცია მარიუპოლიდან და ვიპოვოთ ამ საკითხის გადაწყვეტის გზები“, - განაცხადა ერდოღანმა. იგი დარწმუნებულია, რომ ადგილი, სადაც უკრაინის აღმოსავლეთში სიტუაციის შესამსუბუქებლად ნაბიჯები გადაიდგმება, ანკარა ან სტამბოლი იქნება.

* * *

სომხეთის დედაქალაქში პრემიერ-მინისტრ ნიკოლ ფაშინიანის და მისი გუნდის გადადგომის მოთხოვნით აქციები დაიწყო. გუუშინ ერევანში ტიგრან მეცის გამზირზე სიტუაცია დაიძაბა. „ნიკოლი მოღალატეა!“ - სკანდირებდნენ აქციის მონაწილეები. სამართალდამცავებმა 200-მდე მოქალაქე დააკავეს. აქციის მონაწილეებს კარვები აქვთ გაშლილი და აცხადებენ, რომ არ დაიშლებიან, სანამ ხელისუფლება არ გადადგება.

* * *

დანიამ და შვედეთმა რუსეთი თავიანთი საჰაერო სივრცის დარღვევაში დაადანაშაულეს და მომხდარის გამო ამ ქვეყნის ელჩები დაიბარეს. „რუსული სადაზვერვო თვითმფრინავი დანიის საჰაერო სივრცეში მოკლე დროით იმყოფებოდა, თუმც დანიის F-16 თვითმფრინავები დაუყოვნებლივ აიჭრნენ ჰაერში“, - განაცხადა ნატოს წევრი დანიის გენშტაბის ხელმძღვანელობამ.

მოამზადა
ია შვედიძემ

„ბუჩაში ყოფნისას დავრწმუნდი, რომ რუსეთს ძალიან გაუჭირდება ამ ერის დაჩოქება“

ხატია იაშვილი 27 48 93

„რუსმა სამხედროებმა მოკლეს ყოველი მეხუთე მცხოვრები, რომელიც ოკუპირებულ ბუჩაში დარჩა“ - ამ ფრაზამ დაზაფრა მსოფლიო, ისტორიაში ჩარჩენილი სისასტიკის თანამედროვე ვარიაციები რთული გადასახარში გახდა 21-ე საუკუნეში და მთელი გონიერი კაცობრიობა გაერთიანდა ბარბაროსებად ქცეული რუსი ჯარისკაცების წინააღმდეგ. ბუჩას ტრაგედიამ შეაძრწუნა ცივილიზებული სამყარო და ყველა ქვეყნიდან დაიძრა დელეგაციები, რათა საკუთარი თვალით ეხილათ რუსი სამხედროების მიერ კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული. დელეგაცია ჩავიდა აჭარიდანაც - ჰუმანიტარულ ტვირთს გაჰყვა, რომელიც ბათუმელებმა შეაგროვეს უკრაინელთა დასახმარებლად.

გთავაზობთ ინტერვიუს აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთან ***ლევან ანთაძესთან****, რომელიც ომის დაწყების პირველივე დღეებიდან, მეგობრებთან ერთად, სათავეში ჩაუდგა ბათუმში ჰუმანიტარული ტვირთის შეგროვების და უკრაინელ ლტოლვილთა დახმარების ცენტრს. ის ახლახან ჩამოვიდა უკრაინიდან. მისი თქმით, ყველაზე მეტად შეძრწუნდა ყოფილი რუსული შტაბის უკან აღმართულ კედელზე შემხმარი სისხლით, რომელიც აქ დახვრეტილ უკრაინელებს ეკუთვნოდათ.*

- ბატონო ლევან, როდის წახვედით უკრაინაში და ვინ გახლდათ?

- წავედით 14 აპრილს, უმაღლესი საბჭოს დეპუტატები: ელგუჯა ბაგრატიონი, გიორგი კირთაძე, გია აბულაძე და მე. გავყევით სატვირთო მანქანას, ე.წ. ფურას, რომელიც დატვირთული იყო უკრაინის დახმარების ცენტრში მოტანილი, ბათუმელების შემოწირულობებით. ჰუმანიტარული დახმარების ეს ნაწილი ბათუმთან დამეგობრებულ ქალაქ ტერნოპოლში წავიღეთ. თავადაც გავემგზავრეთ, რადგან გადავწყვიტეთ, ერთია, როდესაც აქედან, მშვიდობიანი ადგილიდან ეხმარები და მეორე - ჩადიხარ, და პირადად უცხადებ თანადგომას. ტერნოპოლი - უკრაინის დასავლეთით მდებარე, სიდიდით მეოთხე ქალაქია, მდინარე სერეტზე, ისტორიული რეგიონის გალიციის, ახლა - ტერნოპოლის ოლქის პოლიტიკურ-ადმინისტრაციული, ეკონომიკური და კულტურული ცენტრი, იქ სადაც იკვეთება სარკინიგზო და საავტომობილო მაგისტრალები. კიევიდან დაშორებულია თითქმის 500 კილომეტრით.

- ოფიციალური შეხვედრები თუ გქონდათ...

- იქ ყველას ოფიციალურად ხვდებიან, რადგან დიდ პატივისცემად და თანადგომად მიაჩნიათ ნებისმიერის ჩასვლა, მით უმეტეს, როდესაც დამეგობრებული კუთხის წარმომადგენელი ხარ. შეგვხვდა ტერნოპოლის მერი სერგეი ნადალი, რომელიც უკვე 10 წელია მართავს ქალაქს და საკრებულოს თავმჯდომარე. პირველ რიგში, ჩავაბარეთ ჰუმანიტარული ტვირთი - მედიკამენტები, პროდუქტები, ტანსაცმელი და სხვა საჭირო ნივთები. მადლობა გადაგვიხადეს ყველაფრისთვის, მაგრამ აღნიშნეს, რომ ჩვენი ვიზიტი გაცილებით მეტის მთქმელი იყო მათთვის და ასეთ მძიმე წუთებში ჩვენი იქ ყოფნით გამოწვეულ ემოციებს, ვერანაირი მადლიერებით ვერ გადმოსცემენ.

- ჰუმანიტარული ტვირთი კონკრეტულად ვინ შეაგროვა? თქვენ მიერ ჩამოთვლილი დეპუტატები „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები არიან.

- ძალიან გთხოვთ პოლიტიკური პოზიციის დაფიქსირებას მოერიდოთ. როგორც უკვე აღვნიშნე, ჰუმანიტარული ტვირთი შეაგროვეს ბათუმელებმა და ყოველგვარი პარტიული კუთვნილების თუ სიმპათია-ანტიპათიის გარეშე მოიტანეს. სწორედ ეს პროცესი შეიძლება ჩავთვალოთ ერის ერთად დგომის საფუძვლად. ასე რომ, მადლობა შემოუთვალეს მთელ ბათუმს, აჭარას და ქართველს ხალხს. ყველაზე მეტად შემძრა ამ ომით გაუბედურებული ხალხის ღიმილმა და კეთილმა სურვილებმა, რომლითაც გვხვდებოდნენ ქუჩებში და გვაცილებდნენ.

დავათვალიერეთ დანგრეული ქალაქები, გზები. ვიყავით ჰოსპიტალში და მოვინახულეთ დაჭრილი მეომრები „აზოვის ბატალიონიდან“. ჩავედით კიევში, სადაც შევხვდით ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრს ირაკლი ზოიძეს, რომელიც ომის დაწყების პირველივე დღეებიდან გაემგზავრა უკრაინაში და დღემდე იქ იბრძვის. ვნახეთ კობა ხაბაზი, გია ბარამიძე, ხულოს მკვიდრი ავთო სურმანიძე, რომელიც ასევე, აქტიურად იყო ჩართული „თავისუფლების კვარტალში“. ბევრ სხვა ქართველ მებრძოლსაც შევხვდით. ისინი დიდი ავტორიტეტით სარგებლობენ უკრაინელებში, სიამაყით ვამბობ, რომ მათ გამორჩეულად სცემენ პატივს. მინდა თქვენი გაზეთით ჩვენს ამ მამაც თანამოქალაქეებს მადლობა გადავუხადო და უკვე ბათუმიდან მოვიკითხო.

- ბუჩაშიც იყავით?

- დიახ, ვიყავით და შეგვძრა იქაურობამ. აშკარად დავინახეთ რუსეთის იმპერიის მახინჯი, სისხლიანი სახე. აქ ყოველ მეხუთეს ცხრილავდნენ, რაც ბუჩაში გარდაცვლილთა ცხედრების ექსჰუმაციის შედეგად გახდა ცნობილი. მოგეხსენებათ, ამის შესახებ ინფორმაციას ბუჩას მერი ანატოლი ფედორუკი ავრცელებს. ვნახეთ დანგრეული, მიწასთან გასწორებული ქალაქი, რუსების შტაბი, საიდანაც აშკარად გაიქცნენ და არა - გავიდნენ რუსები, როგორც თავად აცხადებდნენ. ისე იყო იქაურობა არეულ-დარეული, საიდუმლო დოკუმენტაცია დაყრილი, ტანსაცმელი და ნივთები მიმობნეული, ცხადად ჩანდა, რომ უკანმოუხედავად გარბოდნენ, თორემ რას დათმობდნენ იქაურობას. საკუთარი დანაშაულის კვალის მიჩქმალვაც ვერ მოახერხეს, ისე დაყრილი დატოვეს ქუჩებში ხელ-ფეხშეკრული, დახვრეტილი მშვიდობიანი მოქალაქეები. განსაკუთრებით შემზარა ამ შტაბის უკანა ეზოში, კედელზე შემხმარმა სისხლმა, სადაც თურმე ხვრეტდნენ უდანაშაულო ადამიანებს. იმდენად მძიმე სურათი იყო, ხმის ამოღებაც ვერ მოვახერხეთ, ასეთ სისასტიკესთან პირისპირ დარჩენა არ ყოფილა იოლი. ერთია, როდესაც ფოტოებს უყურებ და სულ სხვაა, ფაქტების ნახვა. ვერც კი გადმოგცემთ, რა განწყობა დაგვეუფლა ყველას. გარდა ამისა, მინდა აღვნიშნო, რომ ბოლომდე არ მჯეროდა, როდესაც გადმოსცემდნენ რუსული ტექნიკის განადგურების ციფრებს. აქ კი საკუთარი თვალით ვნახეთ ჯართად ქცეული რუსული მძიმე ტექნიკის გორები - არ ვაჭარბებ, ძალიან დიდი რაოდენობა იყო. სხვა უამრავი რამ დავაფიქსირეთ, მაგრამ ყველაფერს ერთად ვერ გადმოგცემთ, რადგან აბსოლუტურად სხვაგვარია იქ ყველა სიტყვა, მოქმედება, ყოფა...

- ბუჩაში ვის შეხვდით?

- შევხვდით ბუჩას მერს და საკრებულოს თავმჯდომარეს, იქაც დიდი მადლობა გადაგვიხადეს, თუმცა ისიც გვითხრეს, რომ პროდუქტების დეფიციტს არ განიცდიან, მხოლოდ მედიკამენტები უჭირთ. როგორც კი ჩამოვედით, გადავაგზავნეთ ის წამლები, რაც გვთხოვეს. გზად უამრავი დახვრეტილი სამოქალაქო პირის მანქანები ვნახეთ, რომლებიც ალბათ, ტრასაზე ხვდებოდნენ ტანკებს. ბევრი მათგანი გადავლილი იყო „ბეტეერებით“, არც მორიდებიან. ახლახან აღმოაჩინეს 900 ადამიანზე გათხრილი საფლავი. ბუჩას მერის ანატოლი ფედორუკის ინფორმაციით, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულები სამოქალაქო პირების წინააღმდეგ დაფიქსირდა ბუჩასა და ვორზელში - ჯგუფური გაუპატიურება და ბავშვთა მკვლელობა. მართლაც საშინელებები მოხდა და ხდება უკრაინაში, დაიხოცა უამრავი ადამიანი, დასახიჩრებულია კიდევ უფრო მეტი, მაგრამ ყველაზე მთავარი და ხაზგასასმელია ის, რაც კი არ წაართვა, შესძინა ომმა ამ მედგარ ხალხს - ერთიანობა და ვაუკაცური, გაუტეხელი სული, სიმამაცე და ოპტიმიზმი. მანამდე მრავალპოლუსიანი უკრაინა გაერთიანდა ერთ ხორც და ერთ სულ, აღარ არჩევენ არც რელიგიას, არც ენას, არც წარმომავლობას, ყველა ერთად იბრძვის რუსი ოკუპანტების წინააღმდეგ და დარწმუნებული არიან გამარჯვებაში. აღარ არის ის მრავალწახნაგოვანი უკრაინა, რაც იყო, ახლა შეკრული, გაერთიანებული ერი ჩამოყალიბდა და წინ აღუდგა რუსეთის სისხლიან რეჟიმს. ყველაფერი ეს რომ ვნახე და აღვიქვი, ბუჩაში ყოფნისას დავრწმუნდი, რომ რუსეთს ძალიან გაუჭირდება ამ ერის დაჩოქება, მით უმეტეს, მას მთელი ცივილიზებული მსოფლიო, გონიერი კაცობრიობა უჭერს მხარს.

- ყველაზე მეტად რამ მიიპყრო თქვენი ყურადღება?

- 8 საათზე ჩავედით და უკვე მოხალისეები შეკრებილნი იყვნენ, ყველა მუშაობდა, არავინ რჩებოდა უსაქმოდ. თქვენ წარმოიდგინეთ, რამდენიმე ქუჩა უკვე მწყობრში ჩაყენეს, გატანილი იყო ჯართად ქცეული ტექნიკა თუ სხვა ნაგავი, ანუ იბრძვიან სასახელოდ და შრომობენ - დაუზარებლად. უკრაინელების განწყობა ალბათ, ის ფენომენია, რამაც ჩემზე ყველაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

- თუ ბომბავდნენ ქალაქს, სადაც იყავით?

- ოთხი ღამე დავრჩით იქ და ღამის განმავლობაში რამდენჯერმე ჩაირთო განგაშის ზარი, მაგრამ ხალხიც შეეჩვია და ჩვენც აღარ ვაქცევდით დიდ ყურადღებას. ყველა შთაბეჭდილება ახლა მნიშვნელოვნად მიმაჩნია, ყველა ემოცია - ყურადღების და დამახსოვრების ღირსად. ამიტომ, კიდევ ერთხელ მინდა მადლობა გადავუხადო ჩემს ბათუმელებს, რომ 50-60 ტონამდე ტვირთი შეკრიბეს და არ დარჩნენ განზე მაშინ, როდესაც მეგობარ ქვეყანაში უსამართლო, წესების გარეშე ომი მიმდინარეობს.

- რამდენი უკრაინელია გასული ქვეყნიდან?

- ზუსტი ციფრი არავინ იცის, რადგან წარმოუდგენელია ამის დათვლა. მხოლოდ ის შემიძლია გითხრათ, რომ აქ შემოსულ ლტოლვილთა დაბინავების სერიოზული პრობლემა შეიქმნა. ჩვენთან ერთად ამ საკითხზე ტურიზმის დეპარტამენტიც მუშაობდა, მაგრამ, როგორც ვიცი, მათ ამოეწურათ ფინანსური შესაძლებლობა და ალბათ აუცილებელი გახდება საქმეში აჭარის მთავრობის ჩართვა. 1500-მდე ადამიანი განვასახლეთ ჩვენ - 90% უფასოდ. ბათუმელები, ქობულეთელები და ხელვაჩაურელები უთმობენ ოთახებს. რაც შეეხება იმ ხალხს, სასტუმროებში რომ არიან, ვინაიდან ტურიზმის დეპარტამენტს ამოეწურა თანხა, ალბათ, გამოუშვებენ. აქედან გამომდინარე, ვაცხადებ, რომ საჭიროა სამთავრობო დახმარება.

- უკრაინიდან წამოსულები არ იღებენ არანაირ დახმარებას?

- არა, თუ ვალანტიორების (მოხალისეების) დახმარებას არ ჩავთვლით. სახელმწიფოსგან რას უნდა დალოდებოდნენ, გამოექცნენ ომს და სიკვდილს, სამშვიდობოს გამოიყვანეს ბავშვები.

- უკრაინის მთავრობა მამაკაცების სისხლის სამართლებრივ დევნას იწყებს. ამ ხალხს რა ეშველება?

- ეს არ ვიცი, ალბათ გამოიძებნება რაღაც გზა, მაგრამ ახლა ვდგავართ ფაქტის წინაშე, რომ კონკრეტულად აჭარაში მყოფ უკრაინელ ლტოლვილებს მთავრობამ გაუწოდოს დახმარების ხელი.

- თქვენ რატომ მიიჩნიეთ რომ მთავრობა არ ეხმარება?

- იმიტომ, რომ ჩვენთან მოდიან, დახმარებას გვთხოვენ. სასტუმროს მეპატრონეები სთხოვენ, გავიდნენ და მოძებნონ საკუთარი სახსრებით საცხოვრებელი ბინები, არადა, არავითარი საშუალება არ აქვთ. გასაგებია, რომ ტურისტული სეზონი იწყება და პანდემიის გამო მიღებული ზარალის ასანაზღაურებლად სასტუმროს მფლობელები ვერ აჩერებენ ლტოლვილებს. სხვა გზა უნდა გამოიძებნოს ამ ხალხის დასაბინავებლად, რადგან მათგან ბევრს, არავითარი ფინანსური საშუალება არ გააჩნია, არც კვების და არც ბინის ქირაობის. ჩვენს ცენტრში დღეში 20-25 ოჯახი მოდის, რომელიც ითხოვს პროდუქტებით დახმარებას. აქედან 10-15 ოჯახს ჩვენ ყოველდღიურად ვაძლევთ ღამის გასათევ ბინას. ეს პროცესი უკვე თვენახევრის განმავლობაში მიმდინარეობს. 10 მარტის შემდეგ დაიწყო ჩვენთან მომართვიანობა დასახლებასთან დაკავშირებით. ძალიან მძიმე სურათია, აჭარის მთავრობის ვალდებულებაც არის ამ ადამიანების დახმარება.

- დონეცკის მიმართულებით ბრძოლის შესახებ ხომ არაფერი უთქვამთ?

- ჩვენი იქ ყოფნის დროს, დაიწყო ეს დიდი შეტაკებები. რუსებმა ხმა გაავრცელეს, თითქოს დატოვეს კიევი და გადაისროლეს ძალები დონეცკში, თუმცა, არაფერი მაგდაგვარი არ ყოფილა, მათი დაჯგუფება სრულიად განადგურებული იყო და გადარჩენილი მცირე ნაწილი, უკვე გითხარით, კი არ გადიოდა ჩრდილოეთ უკრაინიდან - გარბოდა, რათა თავი გადაერჩინა. ჯერ კიდევ 16 აპრილიდან დაიწყო ეს დიდი შეტაკებები და როგორც იქაურები ამბობენ, წარმატება რუსეთის ჯარს არ აქვს. თუ ახლა იარაღსაც მიაწვდიან უკრაინელებს, ვფიქრობ, ამ ხალხს ველარაფერი შეაჩერებს. მათი დამარცხება, პრაქტიკულად, შეუძლებელია. მხოლოდ ის აწუხებს მთელ მსოფლიოს, რომ მშვიდობიანი მოქალაქეები იღუპებიან.

- როგორ შეაფასებთ უკრაინის მთავრობის უდიერ მომართვებს ჩვენი ხელისუფლების მიმართ?

- იგივე ტექსტებით რატომ არ ესაუბრებიან აზერბაიჯანს, პოლონეთს, ბულგარეთს და სხვებს? ადამიანები ბრძოლის ველზე, ფრონტის წინა ხაზზე იმყოფებიან, სამკვდრო-სასიცოცხლოდ ებრძვიან ბოროტების იმპერიას, ჩვენი პრემიერი კი ხმამაღლა აცხადებს, რომ სანქციებს ვერ შეუერთდება. ბევრი სხვაც არ შეუერთდა სანქციებს, მაგრამ ამის აფიშირებას არ აკეთებს. თანაც აცხადებს, მეორე ფრონტს არ გავხსნიო. დამისახელეთ ნებისმიერი უკრაინელი ან ქართველი პოლიტიკოსი, რომელიც ითხოვდეს მეორე ფრონტის გახსნას. ამ საკითხს საკმაოდ დიდი შეთანხმება და გაანალიზება სჭირდება. რაც შეეხება იმ ჰიპოთეტურ შესაძლებლობას, რომ საქართველოს გაერთიანება მოხდეს, რა თქმა უნდა, ეს ვარიანტი უნდა განვიხილოთ, მაგრამ არა საზოგადოების, სპეცსამსახურების და ხელისუფლების მაღალჩინოსნების დონეზე. საუბარი იმაზე, რომ ვიღაც ომს აპირებს და ომი უნდა, არავითარ ლოგიკას არ ემორჩილება. რაც შეეხება იმას, ვართ თუ არა მზად დავიცვათ საკუთარი დამოუკიდებლობა, ეს კითხვა ლეგიტიმურია და მიმაჩნია, არსებულ გეოსტრატეგიულ სიტუაციაში, სწორედ ამაზე უნდა მუშაობდეს საქართველოს მთავრობა და არ უნდა შედიოდეს პოლემიკაში მებრძოლ სახელმწიფოსთან.

> *„8 საათზე ჩავედით და უკვე მოხალისეები შეკრებილნი იყვნენ, ყველა მუშაობდა, არავინ რჩებოდა უსაქმოდ. თქვენ წარმოიდგინეთ, რამდენიმე ქუჩა უკვე მწყობრში ჩაყენეს, გატანილი იყო ჯართად ქცეული ტექნიკა თუ სხვა ნაგავი, ანუ იბრძვიან სასახელოდ და შრომობენ - დაუზარებლად. უკრაინელების განწყობა ალბათ, ის ფენომენია, რამაც ჩემზე ყველაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა“*

საქართველოში ბრძოლაა დემოკრატიასა და ავტოკრატიას შორის

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

მიუხედავად არასახარბიელო ეკონომიკური მდგომარეობისა და რუსეთის უკრაინისადმი აგრესიისა, საქართველოში პოლიტიკური სიტუაცია სტაბილურია, რაც მმართველი პარტიისა და ოპოზიციური სპექტრის სახელმწიფოებრივ ქმედებებზე მეტყველებს, ყოველ შემთხვევაში, ასე ამბობენ ექსპერტები. მათი თქმით, ყოველგვარი დესტაბილიზაცია რუსეთის წისქვილზე დაასხამს წყალს, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ოპოზიცია და საზოგადოების ნაწილი ხელისუფლების და ასევე - ოპოზიციის ბოლოდროინდელი ქმედებებითაა კმაყოფილი. ამას მოწმობს ამასწინანდელი სოციოლოგიური გამოკითხვები. ამავე დროს, დაანონსდა ანტისახელისუფლო მიტინგები, რაც „ნაცმოძრაობამ“ სააკაშვილის გათავისუფლების მოთხოვნის საფუძველზე გააღერა. რა ცხადყო ამ სოციოლოგიურმა გამოკითხვებმა, როგორია ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური სიტუაცია, რა აჩვენა რუსეთ-უკრაინის ომმა? ამ და სხვა მნიშვნელოვან კითხვებზე პასუხის გაცემას ამჯერად „სტრატეგია აღმაშენებლის“ აჭარის ორგანიზაციის ლიდერი ბექა ღიასამიძე შეეცდება.

- დღევანდელ საქართველოში არსებულ რეალობაზე რას იტყვით, თქვენთვის რა ასპექტებია საყურადღებო?

- გაუარესებული სოციალური ფონი, მზარდი ინფლაცია, უმუშევრობის მაღალი დონე, გაზრდილი საგარეო სამხედრო საფრთხეები, ქვეყნის შიგნით მყიფე პოლიტიკური სიტუაცია, საზოგადოების მკვეთრი პოლარიზება, ხელისუფლების მხრიდან დემოკრატიული ინსტიტუციების ფუნქციების უგულებელყოფა, დამოუკიდებელი სასამართლოს არარსებობა, ელიტარული კორუფცია და მრავალი სხვა ფაქტორი ნეგატიურ გავლენას ახდენს ჩვენს ყოველდღიურ ყოფაზე, მაგრამ განსაკუთრებულად უნდა გამოვყოთ რუსეთ-უკრაინის ომი. იქ განვითარებულ პროცესებსა და შედეგებს დიდი გავლენა ექნება არა მარტო ჩვენს რეგიონზე, არამედ მთელ მსოფლიოზე. ამიტომ უკრაინაში წყდება ბევრი საკითხი, მათ შორის ისეთებიც, რომლებიც ზემოთ ჩამოვთვალე. იმედი მაქვს, რომ ეს ომი უკრაინელი ხალხის გამარჯვებით დამთავრდება, ხოლო პოლიტიკური და ეკონომიკური შედეგები ჩვენი რეგიონისთვის იმედის მომცემი იქნება.

- ვიდრე ზემოაღნიშნულ საკითხებზე ვისაუბრებდეთ, მანამდე მინდა გკითხოთ თქვენს ლიდერ გიორგი ვაშაძეზე, რომელიც ვაშინგტონში იმყოფება, გვიამბეთ ამის შესახებ...

- კომუნიკაცია ჩვენს დასავლელ პარტნიორებთან და განსაკუთრებით, ამერიკის შეერთებულ შტატებთან, მნიშვნელოვანია. ჩვენი ქვეყნის წინაშე არსებული გამოწვევების დიდი ნაწილი თავად უნდა გადავჭრათ და საქართველოს მოქალაქეებმა საერთო ძალისხმევით მოვაგვაროთ, მაგრამ არის პრობლემები, რომელთა გადაწყვეტაც ჩვენი პარტნიორების ჩარევის გარეშე შეუძლებელი იქნება. ეს ეხება საქართველოს უსაფრთხოებას, ევროპულ ოჯახში ინტეგრაციას, ეკონომიკური კავშირების გამყარებას, ინვესტიციების მოზიდვას და სხვა მნიშვნელოვან თემებს. იმედი გვაქვს, რომ გიორგი ვაშაძისა და ჩვენი პოლიტიკური გუნდის წევრების ვიზიტი ვაშინგტონში თავის წვლილს შეიტანს ქართულ-ამერიკული თანამშრომლობის გამყარებაში.

- ამას წინათ „აირაი“-მ მორიგი კვლევის შედეგები გამოაქვეყნა: მმართველ პარტიას საქართველოს მოსახლეობის 31 პროცენტი უჭერს მხარს, „ნაცმოძრაობამას“ - 16, სხვა პარტიების მაჩვენებელი უმნიშვნელოა, ყველაზე დამაფიქრებელია, რომ მოსახლეობის 60 პროცენტი არცერთ პარტიას არ ენდობა, ეს რისი მანიშნებელია?

- ჩვენს ქვეყანაში მართლაც მძიმე სოციალურ-პოლიტიკური პროცესები მიმდინარეობს, რომელშიც გარეშე ძალები, რუსეთის სახით, ნამდვილად მონაწილეობენ. ეს უკანასკნელი ყველაფერს აკეთებს, რომ ჩვენი მოქალაქეები დაარწმუნოს იმაში, რომ არაფრის კეთება დამოუკიდებლად არ შეგვიძლია. კოლექტიური დასავლეთი საკუთარი ძალების რწმენის განმტკიცებაში გვეხმარება, რუსეთი კი პირიქით - ცდილობს „დაგვაკომპლექსოს“, დაგვაკარგინოს ნდობა საკუთარი პოლიტიკური კლასის მიმართ, რათა მივიდეთ იმ დასკვნამდე, რომ თავისუფლებას „რუსული ჩექმა“ უნდა ვარჩიოთ და ა.შ. ეს ბრძოლაა დემოკრატიასა და ავტოკრატიას შორის. ჩვენ უნდა გადავწყვიტოთ, ვიქნებით თანამედროვე მსოფლიოს ნაწილი თუ რუსეთის იმპერიის უკანა ეზო. ბუნებრივია, ამ პროცესების სწორად წარმართვაში პარტიებს დიდი როლი და პასუხისმგებლობა ენიჭებათ და მოწოდების სიმაღლეზე უნდა იყვნენ, მაგრამ ნურც ის დაგვავიწყდება, რომ საზოგადოების ჩართულობასაც არანაკლები მნიშვნელობა აქვს. ამომრჩევლის ნიჰილიზმი მხოლოდ რუსეთის იმპერიას აძლევს ხელს. პარტიებმაც და ხალხმაც უნდა გავარღვიოთ ეს მოჯადოებული წრე.

- ამ კვლევების მიხედვით, ექსპერტები ამბობენ, რომ ხელში მთლიანად დისკრედიტირებული პარტიები შეგვრჩა, ხომ არ დაჭაობდა პოლიტიკური სპექტრი?

- გავიმეორებ - დისკრედიტირებული პოლიტიკური კლასი მხოლოდ საქართველოს არაკეთილმოსურნე ძალების ინტერესებში შედის. მართალია, პოლიტიკურ პარტიებსაც მიუძღვით ამ მხრივ წვლილი, მათმა შეცდომებმა დიდწილად განაპირობა ბევრი რამ, მაგრამ ერთობლივად უნდა ვეძებოთ გამოსავალი და ცალკეული პირის პოლიტიკურ ამბიციებს არ უნდა გადავაყოლოთ ქვეყნის მომავალი. ამის კარგი მაგალითი ტრამპის პრეზიდენტობის ბოლო დღეები იყო. ამერიკის პოლიტიკურმა სისტემამ დიდ გამოცდას გაუძლო. მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტი გაჯიუტდა და დაკავებული თანამდებობიდან წასვლა არ სურდა, დემოკრატიულმა ინსტიტუტებმა კარგად იმუშავეს ქვეყანაში და იძულებული გახადეს იგი, ხელისუფლება დაეთმო. ვფიქრობ, იგივეს უნდა ვაღწევდეთ ჩვენთანაც, თუ გვინდა, მოსახლეობას ნდობა დავუბრუნოთ პოლიტიკური პროცესებისადმი.

- ამას წინათ თქვენმა ლიდერმა გიორგი ვაშაძემ განაცხადა, რომ უახლოეს მომავალში მისი პარტია მოსახლეობას ქვეყნის განვითარების მნიშვნელოვან გეგმას გააცნობს, რას მოიცავს ეს გეგმა?

- ვაშინგტონში ვიზიტის შემდეგ ეს გეგმები კიდევ უფრო გამოიკვეთება და საშუალება მოგვეცემა, მასზე უფრო ზუსტად ვისაუბროთ.

- დიდი დისკუსიაა გაჩაღებული მესამე პრეზიდენტის შეწყალება-არშეწყალებაზე. „ნაცმოძრაობამ“ მიტინგები დააანონსა, თქვენი და პარტიის აზრი ამის თაობაზე?

- ცივილური სამყარო ასე არ ექცევა თავის პრეზიდენტებს, როგორც საქართველო. სააკაშვილის ჯანმრთელობის პრობლემა ფატალური შედეგით რომ დასრულდეს, ჩვენი ქვეყნის იმიჯისთვის საზიანო იქნება, ამიტომ ის ადამიანები, რომლებიც სწორად ვაფასებთ მოვლენებს, უნდა ვეცადოთ, არ დავუშვათ მსგავსი შეცდომები და საკუთარი პროტესტით ვაჩვენოთ ხელისუფლებას ერთადერთი სწორი გამოსავალი - ექსპრეზიდენტის გადაყვანა უცხოეთის ერთ-ერთ ცნობილ კლინიკაში მისი ჯანმრთელობის სრულ რეაბილიტაციამდე. ჩემი აზრით, ჯერ ადამიანი უნდა იყო და მერე პოლიტიკოსი, ამიტომ სხვა ადამიანების მიმართ ემპათიის გრძნობა არცერთ სიტუაციაში არ უნდა დაკარგო.

- კვლავ არ წყდება სჯა-ბაასი პარლამენტში ოპოზიციის ყოფნასთან დაკავშირებით, მაგალითად, შალვა ნათელაშვილი ამბობს, რომ ოპოზიციამ უნდა დატოვოს პარლამენტი, რათა მმართველ პარტიას დისკომფორტი შეუქმნას, რას იტყვით?

- ბოლო პერიოდში ბატონი შალვა თავად ცდილობდა პარლამენტში შესვლას და „ქართულმა ოცნებამ“ არ შეუშვა. „ლეიბორისტების“ ლიდერმა ჩაატარა გამოკითხვა და მისმა ამომრჩეველმა პარლამენტში შესვლას დაუჭირა მხარი. თუ მოქალაქეები მის შესვლას ეთანხმებიან, რატომ ეწინააღმდეგება მათ ნებას? ასე რომ, ცოტა გაუგებარია ბატონი შალვას პოზიცია, რომელიც ამინდის მიხედვით იცვლება, ხოლო მისი ქმედებები სახის შენარჩუნებას უფრო ემსახურება, ვიდრე საერთო პოლიტიკური მიზნების მიღწევას (ვგულისხმობ ოპოზიციური ფრთის ამოცანებს).

- სხვათა შორის, „ლეიბორისტთა“ ლიდერი იმასაც აცხადებს, რომ თუ პარტია არ დატოვებს პარლამენტს, ეს იმას ნიშნავს, რომ ის ხელისუფლებასთან შეკრულია, მსგავსი განცხადებები რამდენად ვნებს ოპოზიციურ სპექტრს?

- მსგავსი განცხადებები და პოლიტიკური არათანმიმდევრულობა თუ ვინმეს ვნებს, ვფიქრობ, ეს თავად შალვა ნათელაშვილია.

- კომპანია „ბორჯომს“ ხომ არ კარგავს საქართველო და ამ მხრივ რა უნდა გააკეთოს ხელისუფლებამ?

- დღევანდელი ხელისუფლება არათანმიმდევრულია ყველაფერში და ამ საკითხშიც მათი მოქმედებების ლოგიკურობის იმედი არ მაქვს. ხელისუფლებისგან, რომელიც ეგრეთ წოდებულ „არგაღიზიანების“ პოლიტიკას ატარებს და მაქსიმალურად ცდილობს, ქართული ეკონომიკა რუსულს მიაბას, უმოქმედობა არ გამიკვირდება. მართალია, ბრენდს არ დავკარგავთ, მაგრამ, სამწუხაროდ, შესაძლებელია გასაღების ბაზრის დიდი ნაწილი დაიკარგოს, რაც ხელს შეუშლის კომპანიის მომავალ განვითარებას. რა უნდა გააკეთოს ხელისუფლებამ? მოლაპარაკება გამართოს პატარკაციშვილის ოჯახთან 60% წილის გამოსყიდვაზე და გარკვეული საგადასახადო შეღავათებით დააინტერესოს. თუ ეს ვერსია არ იმუშავებს, რუსი ოლიგარქის წილის ნაციონალიზაცია მოხდეს და მისი აქციები მსოფლიოს საფონდო ბირჟებზე გაიყიდოს.

- ექსპერტები აცხადებენ, რომ როგორც მმართველი პარტია, ისე „ნაცმოძრაობა“ მოსახლეობის პოლარიზებას ცდილობენ, რათა ორპოლუსიანობა შენარჩუნდეს, რას აკეთებს თქვენი პარტია, რომ შეიქმნას მძლავრი მესამე ცენტრი?

- სხვათა შორის „IRI“-ს კვლევებმა აჩვენა, რომ ჩვენი ამომრჩევლების ძირითადი ბირთვი მოსახლეობის ის ნაწილია, რომელსაც გარკვეული კარიერული წარმატებები უკვე გააჩნია საზოგადოებრივი საქმიანობის სხვადასხვა სფეროში, აქვს სტაბილური შემოსავალი, მაგრამ სურს უკეთეს პირობებში იცხოვროს და საკუთარი შესაძლებლობების რეალიზება მოახდინოს. ჩვენი პარტიის ამოცანაა, მოქალაქეების დიდ ნაწილს დავანახოთ, რომ შეგვიძლია ისეთი პირობები შევქმნათ, წარმატებული ადამიანების რიცხვი ქვეყანაში მნიშვნელოვნად გაიზარდოს, ყველას მივცეთ ზრდისა და განვითარების შესაძლებლობა. სწორედ ეს განასხვავებს ჩვენს პარტიას სხვებისგან, ჩვენი სამიზნე მხოლოდ ადამიანი, მისი ინტერესები, მერე ოჯახი და საბოლოო ჯამში, სახელმწიფოა.

- საგარეო საკითხსაც შევეხოთ: რას იტყვით ევროკავშირის კითხვართან დაკავშირებით და აქვე თანმდევი კითხვა: რა აჩვენა მსოფლიოს უკრაინა-რუსეთის ომის მესამე თვემ?

- მოვიშველიებ ჯონ კენედის სიტყვებს: „სიტყვა „კრიზისი“ ჩინურად ორი იეროგლიფით აღინიშნება. ერთი „საფრთხეს“ ნიშნავს, მეორე კი „სასიკეთო შესაძლებლობას“. სწორედ ეს შესაძლებლობები ჩვენმა ქვეყანამ ხელიდან არ უნდა გაუშვას. რაც შეეხება ომის შედეგებს, 21-ე საუკუნეში ყველა დიქტატურამ დაინახა, რომ აგრესია დამოუკიდებელი სახელმწიფოს მიმართ დაუჯერელი არ რჩება.

- რამდენად მნიშვნელოვანია სანქციები რუსეთზე ზემოქმედებისთვის?

- ფაქტია, რომ სანქციები მუშაობს, მაგრამ ფრონტის ხაზზე უკრაინელების მნიშვნელოვანი სამხედრო წარმატებების გარეშე, ვფიქრობ, ნაკლებ ეფექტური იქნება. ყველაფრიდან ჩანს, რომ უკრაინა ამ ომში იმარჯვებს. ასე რომ, ვიქონიოთ იმედი, რუსეთი მომავალში ასჯერ დაფიქრდება სხვის ტერიტორიაზე შეჭრამდე.

- დაბოლოს, პრობლემური საკითხების ნუსხაში უმუშევრობა ზემოაღნიშნული კვლევის მიხედვითაც სამეულშია. სამწუხაროდ, ვერც ერთმა მთავარობამ ვერ შეძლო ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, რა არის ამის მიზეზი?

- მიზეზი ერთდროულად ძალიან მარტივიცაა და რთულიც. ის შემიძლია გითხრათ, რომ არცერთი მთავრობა პრობლემას კომპლექსურად არ უყურებდა. სამუშაო ადგილების შექმნის პროცესში სახელმწიფოს პოლიტიკა ფრაგმენტული ვერ იქნება, არადა, სწორედ ამას ვხედავდით წლების განმავლობაში. სანამ ხედვას არ შევცვლით და არ გავიაზრებთ, რა არის ამ მხრივ ჯერ სახელმწიფოს ფუნქცია-მოვალეობა (არც მეტი და არც ნაკლები) და მერე - თითოეული საჯარო მოხელის, ამ სიტუაციაში დავრჩებით.

„პიარის ნაცვლად საქმეს თუ არ მიხედა უკრაინის მთავრობამ, კატასტროფა მოხდება მთელი ქვეყნისთვის“

მე-3 გვერდიდან

- თუკი დნესტრისპირეთში ორი ფრონტი გაიხსნა?

- ამაზეც არის საუბარი, რომ რუმინული სამხედრო შენაერთები კონცენტრირდება მოლდოვის საზღვარზე. არც ის დაგავიწყდეთ, რომ თუ მოლდოვა შევა რუმინეთის შემადგენლობაში, ის მიიღებს ნატოს „ქოლგას“. მაია სანდუმ განაცხადა, რომ მოლდოვას არ ჰყავს ბრძოლისუნარიანი არმია და ამიტომ ვერ ჩაებმება ომში, თუმცა სხვა განცხადებებიც ისმის. აქედან გამომდინარე, თუკი რაღაც ფორმით ორი ფრონტი გაიხსნა, მძიმე აღმოჩნდება დნესტრისპირეთის მდგომარეობა, შესაძლოა, ძალიან სწრაფად განადგურდეს კიდეც.

- თუკი უკრაინა მარტო აღმოჩნდება დნესტრისპირეთის პირისპირ?

- მაშინ დნესტრისპირეთს უკეთესი ვითარება ექნება, რადგან, როგორც თავად აცხადებს, 65 ათასია მისი სამობილიზაციო რესურსი, რისიც არ მჯერა. ალბათ, 30-ათასიან დაჯგუფებას მოუყრის თავს. „კოლბასნოეში“ არის ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე დიდი სამხედრო საწყობი ათასობით ტონა საბრძოლო მასალით და იმ შემთხვევაში, თუ ამ საბრძოლო მანქანის გამართვა მოასწრეს, მძიმე ბრძოლები დაიწყება. რუსეთიც შეეცდება, ფორსირება გაუკეთოს საბრძოლო მოქმედებებს ნიკოლაევის და ოდესის მიმართულებით, გაჭრას და გავიდეს ანკლავისკენ, ასევე დაიხმარებს ავიაციას და სარაკეტო დარტყმებს, რადგან მოსკოვისთვის დნესტრისპირეთის დაკარგვა უდიდესი მორალური მარცხი იქნება, რაც, შესაბამისად, ომის ესკალაციას, ახალ ეტაპზე გადასვლას გამოიწვევს. ასევე, პოლონეთი ემზადება უკრაინის ქალაქ ლვოვის დაკავებისთვის, კერძოდ, სამშვიდობო ძალების ეგიდით აპირებს იქ შესვლას, რადგან თვლის, რომ ეს მისი მიწებია. აქვე აღინიშნება ბელარუსული ჯავშანტექნიკის გადაადგილება საზღვრისაკენ, რადგან თუ პოლონეთი შევა ლვოვში, გვერდზე ვერ გადგება ბელარუსი. აქ უამრავი ნიუანსია, უკვე ნათლად ჩანს, რომ უკრაინა ამ ომიდან ყველაზე მეტად დაზარალებული გამოვა, რადგან მისი დაშლის და გადანაწილების საფრთხე დიდია.

- რა პოზიციას იკავებს ამ ურთულეს ვითარებაში ზელენსკი და მისი გუნდი?

- უკრაინა გახდა გეოპოლიტიკური დაპირისპირების მსხვერპლი, თან უკრაინის მოვლენები არ უნდა განვიხილოთ იზოლირებულად. დაძაბულობა პლანეტარული მასშტაბისაა და კულმინაციას უახლოვდება სხვადასხვა წერტილში. თურქეთი შეიჭრა ერაყის ქურთისტანში და ქურთების საკითხის „საბოლოო გადაწყვეტას“ ცდილობს. ირანი რამდენიმე კვირაში ატომური იარაღის მფლობელი შეიძლება გახდეს. ტაივანმა დაიწყო რაკეტების მასობრივი წარმოება, რომელსაც შეუძლია შანხაის და სხვა ჩინური პროვინციების დაბომბვა, სიტუაცია ფეთქებადსაშიშია ბალკანეთში და ასე შემდეგ. უკრაინის ხელისუფლებაც ამ გლობალურ პროცესშია ჩართული, იგი არ არის დამოუკიდებელი და ასრულებს საკუთარი გეოპოლიტიკური პატრონების დაკვეთას, სხვა საკითხია, ვის შეკვეთას ასრულებენ ეს „შემკვეთები“.

ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამების ბიუჯეტი გაიზარდა

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

*ჩვენი სტუმარია ქედის მუნიციპალიტეტის მერი **როლანდ ბერიძე,** რომელიც მუნიციპალიტეტში მიმდინარე მოვლენებზე საუბრობს.*

- 2022 წელი საკმაოდ გაზრდილი ბიუჯეტით დავიწყეთ, რაც გვაძლევს შესაძლებლობას, მეტი ინფრასტრუქტურული, ჯანმრთელობის, სოციალური და კულტურული პროგრამები განვახორციელოთ. ბიუჯეტი შარშანდელთან შედარებით 6 მილიონი ლარით გაიზარდა. მეტწილად იგი ქედელი კაცის კეთილდღეობაზეა ორიენტირებული. მაქსიმალურად ვცდილობთ, უყურადღებოდ არცერთი მოქალაქე არ დაგვრჩეს, მოსახლეობამ შეძლოს აღნიშნული პროგრამებით სარგებლობა. რაც შეეხება პრემიერ-მინისტრის ქვეყნის მასშტაბით მიმდინარე ინიციატივას „ურბანული განვითარების შესახებ“, საკმაოდ მნიშვნელოვანი პროექტია. მის ფარგლებში ქედის მუნიციპალიტეტის ცენტრი კეთილმოეწყობა.

- აგრარულ მუნიციპალიტეტში რა კეთდება მევენახეობის განვითარებისა და წარმოებული პროდუქციის რეალიზაციისათვის?

- ქედაში გაიხსნება ოთხი ახალი საწარმო. ერთი უკვე ექსპლუატაციაშია შესული, ხოლო სამი უახლოეს პერიოდში ამოქმედდება. სამი საწარმო ორიენტირებულია სხვადასხვა ხილის, ხოლო ერთი - კარტოფილის გადამუშავებაზე, შესაბამისად, მოსახლეობას გაუადვილდება ხილის რეალიზაცია და დამატებით შემოსავალს მიიღებს. რაც შეეხება მეღვინეობას, ეს მიმართულება ქედაში საკმაოდ მნიშვნელოვანი და პოპულარულია. დღეს მოქმედებს ერთი ქარხანა, თუმცა არიან ინვესტორები, რომლებიც აპირებენ კიდევ ერთი ღვინის ქარხნის აშენებას. იმედს ვიტოვებთ, ისიც მალე განხორციელდება.

- მახუნცეთი ტურისტულ კერად იქცა. რას აპირებთ მისი განვითარებისათვის?

- როგორც მახუნცეთი, ასევე, ქედის მუნიციპალიტეტის სხვა სოფლები ტურისტებისთვის საკმაოდ მიმზიდველია. გამომდინარე იქიდან, რომ ტურიზმი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სექტორია საქართველოში. ქვეყნის, ასევე აჭარის მთავრობები და მუნიციპალიტეტი ახორციელებს სხვადასხვა პროექტს. წელს დაგეგმილია ქედაში, მინიმუმ ორ ლოკაციაზე, ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა, რასაც აჭარის ტურიზმის დეპარტამენტი განახორციელებს, ასევე ვაპირებთ სოფელ ორცვაში კარვების ქალაქის გახსნას.

- ქვეყნის ენერგეტიკული ბალანსის შესავსებად მდინარე აკავრეთაზე მცირე ჰესი შენდება...

- მდინარე აკავრეთაზე მცირე ჰესის მშენებლობა დამატებით შექმნის სამუშაო ადგილებს. ასევე, აღნიშნულ კომპანიასა და ჩვენ შორის გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში, კომპანია იღებს ვალდებულებას, ყოველწლიურად 10 სტუდენტის სწავლა დააფინანსოს.

- საუბარი იყო მერისის ხეობაზე გავლით, მთა ღომაზე მისასვლელი გზის რეკონსტრუქციაზე, რითაც ზღვისპირეთი უმოკლესი მანძილით დაუკავშირდება ტერიტორიას.

- მერისის ხეობა ულამაზესია და აქედან გამომდინარე, ტურისტებისთვისაც მიმზიდველია. რაც შეეხება კითხვას, გიპასუხებთ, რომ არამარტო ღომას მთაზე, არამედ სხვა მთებშიც იგეგმება სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელება, ვგეგმავთ მთების ელექტრიფიკაციას.

- ქედელებს არ ავიწყდებათ გასული საუკუნის 30-იან წლებში წამოწყებული ზეიმი, რომელიც პანდემიის გამო ვერ ჩატარდა. აპირებთ დღესასწაულების განახლებას?

- პანდემიამ არამარტო ქედაში, არამედ მთელ მსოფლიოში შექმნა გარკვეული პრობლემები, შესაბამისად, შეიზღუდა როგორც კულტურული, ასევე სპორტული ღონისძიებები. დღეს არსებული ვითარება იძლევა იმედს, რომ ყველა ღონისძიება განახლდება.

- დროის მოკლე შუალედში აღინიშნა აღდგომა და რამაზან-ბაირამი.

- კიდევ ერთხელ მინდა მივულოცო ყველა მართლმადიდებელ ქრისტიანს აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული, ასევე ყველა მუსლიმს - რამაზან-ბაირამი, ვუსურვო მათ ჯანმრთელობა და მშვიდობა.

- ქედის ცენტრში დაწყებული ტაძრის მშენებლობა როგორ მიმდინარეობს?

- სამუშაოები ეტაპობრივად სრულდება და უახლოეს წლებში მუნიციპალიტეტში გვექნება ერთ-ერთი ულამაზესი სამონასტრო კომპლექსი.

- ქედას ღვაწლმოსილი, ამაგდარი პიროვნებები არასდროს აკლდა. მათი საქმიანობის წარმოჩენისთვის რას აკეთებთ?

- ყოველწლიურად ვირჩევთ „საპატიო ქედელებს“ და ვაჯილდოებთ მათ. ჩემი აზრით, მნიშვნელოვანია, ამ ფორმით გადავუხადოთ მადლობა გაწეული საქმიანობისთვის. ესენი არიან სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები, მეცნიერები, პედაგოგები, ექიმები... რამდენიმე დღის წინ ღვაწლმოსილ ქალბატონ დარია თურმანიძეს მოვეფერეთ. ასეთი ღონისძიებები მომავალშიც იგეგმება.

- მუნიციპალიტეტის მერის თანამდებობაზე არჩევამდე დანაპირებიც იყო...

- კიდევ ერთხელ მადლობას გადავუხდი ყველა ქედელს მხარდაჭერისთვის. გავაკეთებ ყველაფერს იმისთვის, რომ ჩემი მოქალაქის ყოველდღიური ყოფა გაუმჯობესდეს, ქედის მუნიციპალიტეტის სოფლები უფრო ლამაზი და მიმზიდველი გახდეს. ყველა დანაპირები შესრულდება ეტაპობრივად, გარკვეული საკითხები უკვე მოგვარებულია. სხვა პროექტებიც განხორციელდება.

- რაა მთავარი, ხელმძღვანელმა მოსახლეობის ნდობა და პატივისცემა რომ მოიპოვოს?

- ხალხთან ხშირი კომუნიკაცია და საქმისადმი სწორი დამოკიდებულება არის გარანტი იმისა, რომ მოსახლეობას ჰქონდეს ხელმძღვანელის ნდობა.

> *„ქედაში გაიხსნება ოთხი ახალი საწარმო. ერთი უკვე ექსპლუატაციაშია შესული, ხოლო სამი უახლოეს პერიოდში ამოქმედდება. სამი საწარმო ორიენტირებულია სხვადასხვა ხილის, ხოლო ერთი - კარტოფილის გადამუშავებაზე, შესაბამისად, მოსახლეობას გაუადვილდება ხილის რეალიზაცია და დამატებით შემოსავალს მიიღებს“*

გმირს პატივი მიაგეს

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

1989 წლის 19 აპრილს სხალთის ხეობის სოფელ წაბლანაში დატრიალებული ტრაგედიის შემდეგ, ასლან შაინიძის ოჯახი რაიონის ახლად აღორძინებულ სოფელ დისველში დამკვიდრდა

მან პირნათლად იმსახურა ქართულ ჯარში. 2008 წლის აგვისტოს ომმა ასლანის სიცოცხლე შეიწირა. ახლა სოფელ დისველში ყურადღებას იქცევს მონუმენტი, რომელიც ასლანის თავდადების სიმბოლოა. მას ეროვნული გმირის წოდებაც აქვს მინიჭებული.

ასლანის წინაპრები წაბლანიდან იყვნენ, მისი ახლობლები ახლაც სახლობენ ამ სოფელში. მისი სახელის უკვდავსაყოფად, შერიფ ხიმშიაშვილის სახლ-მუზეუმის მიმდებარე ტერიტორიაზე მემორიალი მოეწყო. 1 მაისს, ასლანის დაბადების დღეს, ხულოს მუნიციპალიტეტის მერმა ვახტანგ ბერიძემ, საკრებულოს თავმჯდომარე რენარ ბოლქვაძემ, საკრებულოს თავმჯდომარე ალეკო ბაბაიანმა, ასევე, ოფიციალურ პირებმა, ადგილობრივ ხელისუფლებამ, ადგილობრივ ინტელიგენციამ, ასლანის ოჯახის წევრებმა, ნათესავებმა, ასევე, ასლანის ბავშვობის მეგობრებმა, ასლანის ბიძაშვილმა, ასევე, ასლანის ოჯახის ბევრ ახლობელ ადამიანმა, ასევე, ასლანის ბავშვობის მეგობარმა, ასევე

ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრი – ღონისძიებების ანონსი

ნათია იმნაიშვილი 27 48 93

ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრი არაერთ საინტერესო და საჭირო ღონისძიებას სთავაზობს ახალგაზრდებს. თითოეული მათგანი მიმართულია მათი პიროვნული განვითარებისაკენ

2 მაისს ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრში გაიხსნა საკვირაო სკოლა „იპოვე შენი მომავალი პროფესია“ საინფორმაციო შეხვედრით ფსიქოლოგ ქეთევან ბერიძესთან. 4 მაისს 15:30 საათზე ევროპის დღეებთან დაკავშირებით, ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრის მოხალისეები ინგა კახაძე და რომან სურმანიძე წარუძღვებიან საინფორმაციო შეხვედრას, რომელიც ონლაინპლატფორმა Zoom-ის მეშვეობით ჩატარდება. შეხვედრას დაესწრებიან ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდები. 6 მაისს, 11:00 საათზე, ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრის პროექტის „იპოვე შენი მომავალი პროფესია“ ფარგლებში გაიმართება გასვლითი საინფორმაციო ტური ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ახალგაზრდები ეწვევიან იურიდიულ, ფსიქოლოგიურ, სამედიცინო მიმართულების კლინიკებს, ნახავენ სასამართლო-საიმიტაციო დარბაზს, ინოვაციური ტექნოლოგიების კლინიკას, გაეცნობიან სხვადასხვა სფეროს მიმართულებით ლაბორატორიებს, მათი მუშაობის სპეციფიკასა და ტექნიკას.

- როგორც მოგეხსენებათ, ყოველ წელს ახალაგზრდობის ცენტრი ახალგაზრდების საჭიროებებისა და სურვილების კვლევით იწყებს, - გვითხრა ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრის ხელმძღვანელმა ნატა ხინკილაძემ, - ვატარებთ ონლაინგამოკითხვებს, გავდივართ სოფლებში, სკოლებში და ახალგაზრდებს ვეკითხებით, რა სურთ, რა აინტერესებთ, რა არის მოცემულ მომენტში მათთვის პრიორიტეტული თემა. როგორც შარშან, ასევე წელს აღმოჩნდა, რომ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების დიდ ნაწილს სურდა ტრენინგების გავლა პროფესიის არჩევის თემაზე. როგორც აღნიშნეს, მრავალმხრივი ცოდნის, ინტერესის თუ ნიჭის გამო უჭირდათ პროფესიის არჩევა და ფიქრობდნენ, რომ სამომავლოდაც გაუჭირდებოდათ მსგავსი კურსის გარეშე, დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღება. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, დავგეგმეთ საკვირაო სკოლის ორგანიზება სახელწოდებით „იპოვე შენი მომავალი პროფესია“. ვინაიდან პროფესიის არჩევა უკავშირდება პიროვნული უნარების, მიდრეკილებების, შესაძლებლობების, საკუთარი ინტერესების უკეთესად გააზრებას, საჭიროდ ჩავთვალეთ, საკვირაო სკოლაში მოგვეწვია გამოცდილი ფსიქოლოგები, რომლებიც ამ ყველაფერში დაეხმარებოდნენ ახალგაზრდებს. ამასთანავე, კურსი არ ყოფილიყო მხოლოდ თეორიული ნაწილით შემოფარგლული. სხვადასხვა პროფესიის უფრო სიღრმისეულად გასაცნობად დავგეგმეთ საინფორმაციო ტური ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც შეხვდებიან სხვადასხვა პროფესიის ადამიანებს და მათგან მიიღებენ პასუხებს კითხვებზე, რაც დაეხმარებათ გადაწყვეტილების მიღებაში პროფესიის არჩევის დროს. სკოლა დატვირთული იქნება როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული აქტივობებით და 10 მაისს მონაწილეების დაჯილდოებით დასრულდება. აღსანიშნავია, რომ საკვირაო სკოლაში დარეგისტრირდნენ სხვადასხვა თემში მცხოვრები ახალგაზრდები, მათ შორის შორეული სოფლებიდან, რაც მნიშვნელოვანი ამოცანაა ჩვენთვის ყოველი ღონისძიების განხორციელებისას. რაც შეეხება საინფორმაციო შეხვედრას, რომელიც 4 მაისს ევროპის დღეებთან დაკავშირებით იმართება, ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრის საქმიანობის ერთ-ერთი მიმართულებაა მოხალისეობრივი თვითშეგნების ამაღლება ახალგაზრდებში, მათი წახალისება და იმ არეალის მიცემა, რომელიც დაეხმარებათ დამოუკიდებლად განახორციელონ აქტივობები. ამჯერად საინფორმაციო შეხვედრას ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრის წევრები წარუძღვებიან. ვფიქრობთ, ეს იქნება კარგი გამოცდილება მათთვის როგორც საჯაროდ გამოსვლის ხელოვნების დაუფლების, პრეზენტაციის უნარების განვითარების, ასევე თანატოლ-განმანათლებლობის ჩამოყალიბების თვალსაზრისით.

გერმანიის ბუნდესტაგი უკრაინას, მოლდოვასა და საქართველოს „ევროპულ გზაზე“ მხარს უჭერს

ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ გერმანიის ელჩმა საქართველოში ჰუბერტ ქნირშმა განუცხადა. მისი ინფორმაციით, რეზოლუცია ერთობლივად მმართველი კოალიციის სამმა საპარლამენტო ჯგუფმა და უმსხვილესმა ოპოზიციურმა ჯგუფმა CDU/CSU-მ წარადგინეს

„მოხარული ვარ, დაგიდასტუროთ, რომ 28 აპრილს გერმანიის პარლამენტმა/ბუნდესტაგმა მიიღო რეზოლუცია „მშვიდობისა და თავისუფლების დასაცავად“, რომელიც გამოხატავს ფედერალური ხელისუფლების მიერ უკრაინისთვის გაწეული დახმარებისადმი პარლამენტის მხარდაჭერას, მათ შორის მძიმე იარაღის სისტემების მიწოდების მიმართულებით. ამ კონტექსტში ბუნდესტაგი ითხოვს უკრაინის, მოლდოვისა და საქართველოს დახმარებას „მათ ევროპულ გზაზე“. რეზოლუციაში ხაზგასმულია, რომ ევროკავშირის დამფუძნებელი ხელშეკრულების 49-ე მუხლის ყველა კრიტერიუმის შესრულება გაწევრიანების წინაპირობაა და უნდა გაიზარდოს ევროკავშირის შესაძლებლობები ახალი წევრების მისაღებად. რეზოლუცია ერთობლივად წარადგინეს მმართველი კოალიციის სამმა საპარლამენტო ჯგუფმა და უმსხვილესმა ოპოზიციურმა ჯგუფმა CDU/CSU-მ“,- განაცხადა ჰუბერტ ქნირშმა.

ამირან გურიელიძე

საავტომობილო მიმოსვლა აღდგა

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

ნოემბრიდან ბათუმი-ახალციხის საავტომობილო მაგისტრალის ზანკები-ზარზმის 19-კილომეტრიან მონაკვეთზე, დიდთოვლობისა და ყინვების გამო, ტრანსპორტის გადაადგილება შეზღუდული იყო

აჭარის მთავრობის, პარლამენტარ ანზორ ბოლქვაძის უშუალო ძალისხმევით, ერთკვირიანი მუშაობის შემდეგ, მექანიზატორებმა თოვლის „გვირაბები“ გაჭრეს და მანქანებიც უპრობლემოდ გადაადგილდება.

- რამდენიმე მონაკვეთზე თოვლის ნამქერის სიმაღლე 10-15 მეტრზე მაღალია, - გვითხრა ანზორ ბოლვაძემ, - მარჯვენა უნდა შევუქოთ მექანიზატორებს. რთული სამუშაოების შესრულებისთვის. ახლა სამცხე-ჯავახეთსა და თრიალეთში მცხოვრები ის ადამიანები, რომლებმაც ხულო ათეული წლების წინ დატოვეს, უპრობლემოდ მოინახულებენ წინაპრების კუთხეს. მალე ამ მონაკვეთზე გზის სარეაბილიტაციო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები განახლდება.

განცხადება

შპს „აჭარის ტსმც“ აცხადებს

აუქციონს

შემდეგი არასაცხოვრებელი ფართის 2 წლის ვადით იჯარით გასაცემად:

ცხრილი №1

ლოტი	იჯარით გასაცემი ფართის დასახელება	გასაცემი ფართი (კვმ)	წლიური საიჯარო ქირა (ლარი)	„ბიჯი“ (ლარი)	„ბე“ (ლარი)	ბილეთის ფასი (ლარი)		მისამართი (ადგილმდებარეობა)
						ფიზ. პირი	იურ. პირი	
1	არასაცხოვრებელი ფართი, ერთსართულიანი, ნახევრად კაპიტალური	23,4	6552	168	560	10	50	ბათუმი, გამსახურდიას ქ. №48
2	არასაცხოვრებელი ფართი, ერთსართულიანი, ნახევრად კაპიტალური	45	8127	273	700	10	50	ბათუმი, შავშეთის ქ. №15/17
3	არასაცხოვრებელი ფართი, ნახევრად კაპიტალური, ორსართულიანი, მე-2 სართული, ოთახი №18 (გამოდგება მხოლოდ საოფისედ)	11.5	1020	60	90	10	50	ბათუმი, იმედაშვილის ქ. №8
4	არასაცხოვრებელი ფართი, ნახევრად კაპიტალური, ერთსართულიანი, (სეზონური)	31,6	664	26	60	10	50	ბათუმი, მწვანე კონცხის დასახლება, ბაღის ქ. №9ა
5	არასაცხოვრებელი ფართი, ნახევრად კაპიტალური, ორსართულიანი, 1-ლი სართული, ოთახი (სათავსო) №7	22	1860	120	165	10	50	ბათუმი, იმედაშვილის ქ. №8
6	არასაცხოვრებელი ფართი, ნახევრად კაპიტალური, ორსართულიანი, 1-ლი სართული, ოთახი (სათავსო) №6	30,5	1680	120	150	10	50	ბათუმი, იმედაშვილის ქ. №8

აუქციონში მონაწილეობის მსურველებმა აუქციონის რეგისტრატორს უნდა წარუდგინონ შემდეგი დოკუმენტები:

ა) დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი;

ბ) „ბე“-ს შენატანისა და აუქციონის მონაწილეობის ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ) იურიდიული პირები დამატებით წარმოადგენენ სადამფუძნებლო დოკუმენტების დამოწმებულ ასლს.

თანხის ჩარიცხვა უნდა მოხდეს შემდეგ რეკვიზიტებზე:

შპს „აჭარის ტსმც“ (ს/კ 245425366), ანგარიშის №GE38LB011312701364300, მიმღები ბანკი სს „ლიბერთი ბანკის“ ბათუმის ფილიალი, ბანკის კოდი LBRTGE22.

აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია ყველაზე მაღალი ფასის დასახელება (არანაკლებ საწყისი ფასისა, ბიჯის გათვალისწინებით).

განცხადებები მიიღება ყოველდღე, გარდა შაბათ-კვირისა, 2022 წლის 04 მაისიდან 19 მაისის ჩათვლით, დილის 10-დან საღამოს 16:30 საათამდე შპს „აჭარის ტსმც“-ს შენობაში (ბათუმი, იმედაშვილის ქ. №8).

აუქციონი ჩატარდება ამავე შენობაში 2022 წლის 20 მაისს, 17:00 საათზე.

მობ. 593 360 988.

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «გაზეთი აჭარა და ადჭარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიგოლ ფეოდოროვის ქ. №2
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 2/05/22, 20 40 სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

უმნიშვნელოვანესია დასაქმებულთა შრომითი პირობები, შრომის ღირსეული ანაზღაურება

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

საუკუნეზე მეტია, მსოფლიოს პროგრესული კაცობრიობა მშრომელთა სოლიდარობის საერთაშორისო დღეს - 1 მაისს აღნიშნავს. არც საქართველოა გამონაკლისი. პირველი ფართომასშტაბიანი ღონისძიება თბილისში 1901 წელს გაიმართა. ბათუმში კი მისი აღნიშვნა უკავშირდება გასული საუკუნის დასაწყისში როტშილდის, მანთაშევისა და სხვა საწარმოებში დასაქმებულების მიერ შრომის უფლებების პირველადი ორგანიზაციების შექმნას

აჭარის პროფკავშირის წარმომადგენლები კვირას ბათუმში, ერას მოედანზე შეიკრიბნენ. აქციაზე მათ კიდევ ერთხელ შეახსენეს საზოგადოებას და დამსაქმებლებს, რომ დასაქმებულთა შრომითი პირობები და შრომის ღირსეული ანაზღაურება მნიშვნელოვანია. როგორც პროფესიული კავშირების აჭარის რესპუბლიკური გაერთიანების თავმჯდომარე ზურაბ ცეცხლაძემ აღნიშნა, 1886 წელს პირველად ჩიკაგოში ჩაატარეს აქცია მუშებმა და თავიანთი უფლებების დაცვა მოითხოვეს. ეს გამოსვლები სასტიკად დაარბიეს. თუმცა ამან ბიძგი მისცა შრომის უფლებების დამცავი ორგანიზაციების ჩამოყალიბებას. 1889 წელს პარიზის პირველ ინტერნაციონალურ კონგრესზე დაფუძნდა ასეთი ორგანიზაცია და 1 მაისი მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღედ დაწესდა.

- აჭარის პროფკავშირები ყველა დიდ ღონისძიებას ვეხმაურებით. ჩვენ შემდგომში კიდევ უფრო ფართო მასშტაბით მივუდგებით ყველა საკითხს, რომელიც შრომას შეეხება, რათა აჭარის პროფკავშირების ხმა მაქსიმალურად გაიგონოს ხელისუფლებამ. შრომითი უფლების განუხრელად დაცვაა საჭირო, რომ შრომა იყოს უსაფრთხო და მაღალანაზღაურებადი, დაფასებული. თუ სოლიდარობა იქნება, ყვლაფერი გამოვა, - აღნიშნა ზურაბ ცეცხლაძემ.

- პირველი მაისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დღეა დასაქმებულთათვის. ჩვენ, პროფკავშირები, არა მხოლოდ პირველ მაისს, არამედ ყოველდღიურად ვაცხადებთ, რომ დასაქმებულს უნდა ჰქონდეს ღირსეული ანაზღაურება, ღირსეული სამუშაო და უსაფრთხო გარემო პირობები. გვქონდა წარმატებები, ზოგჯერ - წარუმატებლობაც, თუმცა არაერთი სასამართლო პროცესი მოვიგეთ. ორმა დასაქმებულმა, ჯამში, 64 ათასი ლარი მიიღო. მართალია, დავა 3-4 წლის განმავლობაში გრძელდებოდა, მაგრამ მთავარია, რომ შედეგიანად დასრულდა. სხვათა შორის, პროფკავშირის არაწევრებსაც ვცდილობთ დავეხმაროთ, მაგარამ, სამწუხაროდ, მათი უფლებების დაცვა შეზღუდული გვაქვს. თუმცა, კვალიფიციური იურიდიული კონსულტაციის გაწევა შეგვიძლია, რაც ცოტა არ არის. ამიტომ მოვუწოდებთ ყველა დასაქმებულს, გაწევრიანდნენ პროფკავშირებში და თუ საჭირო გახდება, მათ წევრებს სათანადოდ დავუდგებით მხარში, - გვითხრა პროფესიული კავშირების აჭარის რესპუბლიკური გაერთიანების სპეციალისტმა სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებში ლევან გურგენიძემ.

- ამ დღეს მთელი მსოფლიოს პროფკავშირები აღნიშნავს. ჩვენ საკანონმდებლო დონეზე უნდა მოვახერხოთ და შევქმნათ პირობები რომლითაც შესაძლებელი იქნება დასაქმებულთა უფლებების დაცვა. ამ შემთხვევაში, როგორც ხელისუფლების წარმომადგენელი, სოციალურ პარტნიორად მივიჩნევ თავს, ყველა ერთად უნდა დავდგეთ. პირველი, რაც ამ ხელისუფლების დროს გაკეთდა, იყო ის, რომ შრომის კოდექსი შეიცვალა, თუმცა ის მუდმივ დახვეწას საჭიროებს. ყველაფერი სოციალური პარტნიორობის კონტექსტში უნდა განვიხილოთ, რომელიც ითვალისწინებს დასაქმებულთა, დამსაქმებელთა და ხელისუფლების ერთიან ინტერესს. ამ მხრივ, წინსვლა და სერიოზული პროგრესი, რა თქმა უნდა, არის, - აღნიშნა აჭარის უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ილია ვერძაძემ.

აქციაზე მიიღეს რეზოლუცია, რომელშიც აღნიშნულია, რომ „პანდემია შეეხო მილიონობით ადამიანს, რომელთა შორის არიან საქართველოს პროფესიული კავშირების წევრები. შემცირდა სამუშაო ადგილები და დასაქმებულთა რეალური შემოსავალი. გაიზარდა უმუშევრობა. სამწუხარო რეალობაა სოციალური უთანასწორობა, შრომის არათანაბარი განაწილება. ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაზე, გარკვეულწილად, გავლენა მოახდინა უკრაინაში განვითარებულმა მოვლენებმა. რუსეთის მხრიდან ყოვლად გაუმართლებელმა საომარმა მოქმედებებმა და აგრესიულმა ქმედებებმა უკრაინელი ერის მიმართ, გამოიწვია ათასობით ადამიანის სიკვდილი, დაინგრა და მიწასთან გასწორდა უკრაინული ქალაქები და სოფლები, ლტოლვილად იქცა ათასობით ადამიანი“.

აქციის მონაწილეებმა დაგმეს რუსეთის მხრიდან უკრაინის მიმართ აგრესია და სოლიდარობა გამოუცხადეს უკრაინელ ხალხს. აღსანიშნავია, რომ აჭარის პროფესიული კავშირების რესპუბლიკურმა გაერთიანებამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა უკრაინის ჰუმანიტარული დახმარების ფონდში.

აღინიშნა, რომ ხელისუფლებამ უფრო აქტიური და ქმედითი ნაბიჯები უნდა გადადგას უმუშევრობისა და სიღარიბის წინააღმდეგ. სახელმწიფომ და დამსაქმებელმა ერთად უნდა უზრუნველყოს შრომის კანონმდებლობის დაცვა, დასაქმებულთა ხელფასების ზრდა და შრომითი პირობების გაუმჯობესება. შრომის კოდექსი უნდა შეიცავდეს გარკვეულ შეღავათებს დასაქმებულთა ისეთი კატეგორიებისთვის, როგორიცაა მარტოხელა, მრავალშვილიანი, მარჩენალდაკარგული მშობელი, გაძლიერდეს მშვიდობის, განვითარების, სოლიდარობის, ღირსეული და უსაფრთხო შრომისა და სამართლიანი ანაზღაურების პროპაგანდა და პოპულარობა.

აქციაზე თავინთი ხელოვნება წარმოაჩინეს მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლესთან არსებულმა ფოლკლორულმა გუნდმა „იბერიონი“, გოგონათა ანსამბლმა „ნანინა“ (ხელმძღვანელები - თეიმურაზ დოლიძე, ნათია ჯანგველაძე), ბავშვთა ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „მერცხალი“ (ქორეოგრაფები - თამარ მითაიშვილი, მერაბ დოლიძე).

წარმატება – ევროპის სასკოლო ჩემპიონატზე

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

20-30 აპრილს საბერძნეთის კუნძულ როდოსზე ჩატარდა ევროპის სასკოლო ჩემპიონატი, რომელიც როდოსის საჭადრაკო ფესტივალის ფარგლებში გაიმართა. მასში ასპარეზობდნენ 7-დან 17 წლამდე ჭაბუკები და გოგონები

საქართველოდან ამ ჩემპიონატში 11 მოჭადრაკე მონაწილეობდა, აქედან ორი აჭარიდან გახლდათ და სასიხარულოა, რომ ორივემ მედლის მოპოვება შეძლო.

9 წლამდე გოგონათა შორის მესამე ადგილზე ბარბარა შონია გავიდა, 11 წლამდე კატეგორიაში ასევე მესამე ადგილზე გავიდა ანასტასია ქუთათელაძე, ხოლო ჭაბუკებს შორის ამავე ასაკობრივ კატეგორიაში მეორე ადგილი ტარიელ გაბადაძემ დაისაკუთრა.

13 წლამდე გოგონათა შორის სამივე ადგილი ჩვენმა მოჭადრაკეებმა მოიპოვეს. პირველ ადგილზე ანასტასია კირთაძე გავიდა, რომელმაც 9-დან 8,5 ქულა დააგროვა, მეორეზე - მარიამ ცეცხლაძე (6,5 ქულა), მესამეზე - კესარია მგელაძე (6 ქულა).

დელეგაციას საერთაშორისო დიდოსტატი, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელი დავით ჯოჯუა ხელმძღვანელობდა.

ამჯერად შუახევმა უმასპინძლა

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

რამდენიმე კვირის წინ, აჭარის ქართული ჭიდაობის ფედერაციის ინიციატივით, ქედაში უმცროსი ასაკის ჭაბუკებს შორის აჭარის ჩემპიონატი ჩატარდა. 6 ასაკობრივ ჯგუფში გამარჯვებული სპორტსმენებისგან აჭარის ნაკრები დაკომპლექტდა.

ამჯერად 2002-2004 წლებში დაბადებული ჭაბუკების ჩემპიონატი ქართულ ჭიდაობაში შუახევის სასპორტო სკოლის დარბაზში ჩატარდა. მონაწილეებს მიესალმნენ აჭარის ქართული ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი ჯემალ წულუკიძე, შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძე, სასპორტო სკოლის დირექტორი რამინ ჯოიძე, ფედერაციის ვიცეპრეზიდენტები აკაკი მახარაძე და გელა ზოიძე.

60-ზე მეტი ჭაბუკი ცდიდა ძალებს 6 წონით კატეგორიაში. სპორტის ეს სახეობა აჭარის მთიანეთში წარმატებით რომ ვითარდება, ამას შედეგებიც ადასტურებს. 61, 73, 81 და აბსოლუტურ წონით კატეგორიებში - ხულოელი თომა შაინიძე, შუახეველები - რიჩარდ ფუტკარაძე და სულხან აბაშიძე ჩემპიონები გახდნენ. სულხანმა 81 და აბსოლუტურ წონით კატეგორიებში ყველას აჯობა. 66 და 90-კილოგრამიან წონით კატეგორიებში ბათუმელები გიორგი ბოლქვაძე და თამაზ დიასამიძე იყვნენ უძლიერესები.

პირველ ადგილზე გასული სპორტსმენები აჭარის ნაკრებში შეიყვანეს.

- შუახევის შემდეგ, უფროსი ასაკის ჭაბუკები ხულოში იასპარეზებენ. დიდი იყო ადგილობრივი ხელისუფლების თანადგომა, - გვითხრა ჯემალ წულუკიძემ.